

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას **ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში** (პ. ინგოროვას ქუჩა №8, პირველი სართული).

რეგლამენტი

მომხსენებელს — 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 5 წუთი

რედაქტორი — **ა. არაბული**

©არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

24 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე — პროფ. თ. უთურგაიძე

1. ალ. ჭინჭარიაული, საქართველოს ისტორიის ერთი პარადოქსი
2. გ. გოგოლაშვილი, აკაკი შანიძე და ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია
3. მ. რობაჭიძე, აკაკი შანიძე — არმენისტი
4. ლ. ნოზაძე, აკაკი შანიძის მიერ ზეპირად გამოთქმული რამდენიმე თვალსაზრისის შესახებ
5. მ. ჭურდიანი, თით-ი სიტყვის ისტორიისათვის
6. შ. გაბესკირია, აკად. ა. შანიძის ორი მოსაზრების შესახებ

24 დეკემბერი, 14 საათი

თავმჯდომარე — პროფ. მ. სუხიშვილი

1. ი. ასათიანი, მეგრულისა და ჭანურის ურთიერთობისათვის
2. ა. არაბული, „მთის კილოთა ლექსიკონი“ — პირველი კრებსითი ლექსიკონი დიალექტური ლექსიკისა
3. მეუფე ანდრია (გვაზავა), ნ. მახარაძე, მ. კვესელავა, ლ. ჭაროსანიძე, საეკლესიო ტერმინთა ლექსიკონისათვის

- რ. ფარეული ძე, ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა მ. მამა-ქავის რომანში „ზელიმხანი“
- ნ. ჯორბენაძე, თანხმოვანზე დაბოლოებული ორი საკუთარი სახელის (უშანვი, ეთერი) ბრუნების შესახებ ქართულში

25 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე — პროფ. ვ. შენგელია

- მ. სუხიშვილი, გრამატიკულ და სემანტიკურ ბრუნვათა სუბსტიტუციისათვის ქართულში
- თ. ვაშაკიძე, **-ელ-**ზე დაბოლოებულ სახელთა მართლწერი-სათვის
- ნ. ოთინაშვილი, ტოპონიმიკურ-ონომასტიკური ძიებანი ზემოქართლიდან
- ნ. ჭოხონელი ძე, ფერთა სახელები რ. ინანიშვილის ენაში
- თ. ზიონდაძე, არქაული ლექსიკის კვალი იმერულში

25 დეკემბერი, 14 საათი

თავმჯდომარე — პროფ. შ. აფრიდონიძე

- მ. ჩუხუა, ამოსავალ სისინა სიბილანტთა რეფლექსაციისა-თვის ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში
- ნ. მაჭავარიანი, „ინდი-მინდის“ წარმომაგლობისათვის

- თ. ბურჭულაძე, ერთი ტიპის ჰიპოტაქსური წყობისათვის საშუალ ქართულში
- ლ. გიგლემიანი, მეგრული ბრანგ- ფუძის წარმომაგლობი-სათვის
- ნ. შავრეშიანი, **-ტექ || -ტაქ, -ტალ, -ი (ცა)** ნაწილაკი-ანი მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედე-ბი ჩოლურულში

26 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე — პროფ. გ. ბედოშვილი

- ნ. არდოტელი, ალბანურ ლექციონარში დადასტურებული ლექსიკის გენეზისათვის
- მ. ჩახანიძე, დიფერენციული ნიშანი ლექსიკოგრაფიაში — III. პ. დენისოვის ლექსიკონთა კლასიფიკაცია
- ფ. აფხაზიძე, სინკალური ნათესაობის სისტემისა და ნათესა-ობის ტერმინოლოგიის თავისებურებათა შესახებ
- ნ. ხახიაშვილი, სიტყვა **მზესთან** დაკავშირებულ სახელთა სემანტიკური ანალიზი
- რ. ლოლუა, რამდენიმე შენიშვნა ახლადაღმოჩენილი ალბა-ნური პალიმფსესტის ფონეტიკურ სისტემასთან დაკავშირებით

26 დეკემბერი, 14 საათი

თავმჯდომარე — პროფ. ი. ჩანტლაძე

1. ი. ჩანტლაძე, ას წელს გადაცილებულ კოდორელ სვანთა მეტყველების ლინგვისულტუროლოგიური შესწავლის შედეგები და მათი მიმართება ენგურის ხეობის მოსახლეობის მეტყველებასთან
2. ე. გაზ დელიანი, კოდორის ხეობის ზოგი ტოპონიმის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი
3. რ. ჭკადუა, დელაბიალიზაცია კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში და მისი მიმართება ლახამულური კილოკავის შესაბამის მონაცემებთან
4. მ. საღლიანი, ბალსქვემო სვანეთიდან კოდორის (resp. დალის) ხეობაში ჩასახლებულთა მეტყველების თავისებურებანი
5. ქ. მარგიანი, ფუძედრექად ზმნათა მასდარის წარმოება კოდორისა და ენგურის ხეობების მცხოვრებთა მეტყველებაში
6. რ. იოსელიანი, კოდორის (resp. დალის) ხეობის ეთნოლინგვისტური ხასიათის კომენტარები
7. ქ. მარგიანი - სუბარი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია კოდორის ხეობის სვანურში და მისი მიმართება ზემოსვანურ დიალექტებთან თუ ძველი ქართულის მონაცემებთან

ავთანდილ არაბული

„მთის კილოთა ლექსიკონი“ — ბირველი კრებსითი ლექსიკონი დიალექტური ლექსიკისა

აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონი“, რომელიც დიდი შეცნიერის თხზულებათა 1 ტომში გამოქვეყნდა 1984 წელს, იმ ლექსიკურ მასალას მოიცავს, რაც მეცნიერის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის 1911-13 წლების სპეციალური დიალექტოლოგიური მივლინების დროს იქნა შეკრებილი.

ამ კრებსითი ლექსიკონის შედეგის მეთოდი და პრინციპები ა. შანიძეს მივლინების პერიოდშივე შეუმუშავებია და განუხორციელებია, რაც კარგად ჩანს მისსავე მოკლე ცნობაში ამ მასალაზე მუშაობის შესახებ: „მეორედ რომ ვაპირებდი მთაში გამგზავრებას, ჭერ გადავიკითხე ვაჟა-ფშაველას და ა. ყაზბეგის ნაწერები, ამოვკრიფე იქიდან განსამარტავი სიტყვები და ადგილობრივ შეეგამოწმე 1913 წელს. ლექსიკონი თანდათან იზრდებოდა ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლისას და საბოლოოდ საქამაოდ მოზრდილი გამოვიდა. ერთი და იგივე სიტყვა ზოგჯერ ყველა კილომისა შემოწმებული, ზოგჯერ ამათუ იმ კილომის მისი მიხედვით, თუ სად, როდის და რა პირობებში მიხდებოდა შემოწმება“.

რამდენად გულდასმით არის აღნუსხული მთის კილოთა, კილოვათა და თქმათა მონაცემები, ეს კარგად ჩანს იმ შემოკლებათა ნუსხიდანაც, რომელიც ლექსიკონის გამოცემას დასჭირდა. კერძოდ, აქ ცალ-ცალკე არის წარმოჩენილი მონაცემები გულდასმაყრულისა, მთიულურისა და ქვემო მთიულურისა; თუშური; ფშაური — წინა ფშავის, ზემო ფშავის და უკვენა ფშავის თავისებურებებით; ხევსურული — „არხოტელთ ჰევსურულის“, „ბაკურჯეველთ ჰევსურულის“, „მიღმავევლთ ჰევსურულის“ და „შატილელთ ჰევსურულის“ მონაცემებით; ერწოსა და თიანეთის მასალები; სოფ. ხორხის მონაცემები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია იმ დროისათვის არსებული ტექსტობრივი და ლექსიკოგრაფიული წყაროები.

სალექსიკონო სტატიები ძირითადად აგებულია საბასეული ბუღდობრივი პრინციპით, რომლის დროსაც ბუდეს ქმნის სინონიმური

თუ ერთი სემანტიკური ველის სიტყვები; თუმცა ამ სემანტიკურ მიმართებებში აისახება კილოური ფონეტიკური ვარიანტებიც; როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, „ზოგჯერ მხოლოდ ხმოვნით არის განსხვავებული სხვადასხვა კილოს სიტყვა, მაგ. **ლაპო**, **ლეპო** და **ლოპო**...“. ამგვარ ბუდეებში, წმინდა ლექსიკურ განმარტებათა ვარდა, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი, უნიკალური მონაცემები სამეცნიერო, წესჩვეულებათა თუ ეთნოგრაფიული სფეროდან. მაგ.: **წელწადი** კ., თ., ფშ. ახალი წელი. **წელწადში** კ. „ახალ წელს“ (ბეს.). **წელწად წუხრა** ახალწლის წინა დღე. „შატილში ახალწლის დღეობა ხუთ დღეს გრძელდებოდა: **წელწადი** კვირას, **კუმეტი** ორშაბათს, **შუადღე** სამშაბათს, **უკენა შუადღე** ოთხშაბათს, **გამცხადება** ხუთშაბათს (ჩაჩ. 141). აქ ნახსენები „გამცხადება“ წარმოშობით უთუოდ განცხადებაა, ე. ი. 6 იანვრის დღესასწაული მორწმუნე ქრისტიანებისა“.

ზმნა საწყისზეა გამოტანილი და ხშირია ომონიმური ფორმები. მაგ.:

წევა (1) კ. თ. მოქ. (იშვ.) წევა. არ მიწევავის — არ მიწევია, არ დამიპატიუნია. **აწილი** დაპეპატიული. „შენ გაწევს, რად არ წახოლ“. ჩემმა მოსაუბრე მოხევემ ღიმილით მითხრა: ეს რომ ქალს უთხრა, შეიძლება სხვაგვარად გაიგოსო. **მოწევარი** მოქ. კაცი, რომელსაც გზავნიან სტუმრის მოსაწევად.

წევა (2): **ეწევი** ეხმარები (კ. მას.).

წევა (3): **უწევს** დროშათ სისხლს კ. ასხურებს დროშებს სისხლს. სისხლი **უწივა** ქალ-ვაჟთა კ. სისხლი ასხურა ქალ-ვაჟთ (კ. მას.).

პირველი სტატიის მოქ. **მოწევარი** და, აგრეთვე, კ. **მაწევარი** ცალკე ერთეულებად არის გატანილი.

„მთის კილოთა ლექსიკონს“ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული დიალექტოლოგისათვის, ამ კილოთა ისტორიის შესწავლისათვის, ვინაიდან ბევრი ლექსიკური ერთეული დღეს აღარც კი მოიძევება. მეტიც, თვით ავტორი აღნიშნავს: „ზოგიერთი იმდროინდელი ჩემი ჩაწერილი სიტყვა შეიძლება დღეს აღარ იხმარებოდეს. ჯერ კიდევ მაშინ უარყოფდა ზოგიერთი **ზემყნელს**, როგორც ვარკვეული სახის ცეკვას“.

ნოდარ არდოტელი

ალბანურ ლექციონარში დადასტურებული ლექსიკის გენეზისისათვის

1. ალბანურ ენასა და მის დამწერლობას სხვადასხვა ღრის და სხვადასხვა კუთხით ეხებოდა არაერთი მკვლევარი: აკ. შანიძე, ილ. აბულაძე, ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, ს. მურავიოვი, ვ. ღუკასიანი, ვ. შულცე, ი. გიბერტი, ა. ქურდიანი, მ. ქურდიანი...

ალბანოლოგის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ალბანური ენა უნდა იყოს თანამედროვე უდიურის წინამავალი ენა, რასაც მხარს უჭერს სინას მთაზე ახლახან აღმოჩენილ ალბანურ ლექციონარში დადასტურებული ლექსიკაც (ზ. ალექსიძე).

2. ზემოხსენებული ლექსიკის (თუ ამოკითხული სახელები სინამდვილეს შეეფერება) შედარება უდიურის მონათესავე დაღესტურ ენებთან ცხადყოფს მათ საერთო წარმომავლობას, ვინაიდან ესა თუ ის სიტყვა ამ ენათა შორის დადგენილ ბგერათშესატყვისობის ფორმულებში ჭდება, მაგ.:

1. ს.-დაღ. ვა-ც-იც : ალბ.: უდ. ვი-ჩ-ი : ხინ. **ც-ა** : წახ. **ჩ-ოჟ** : რუთ. **ჟ-უ** : აღ. **ჩ-უ** : თაბ. **ჩ-ტუ** : არჩ. **უ-ჟ-ტუ** : ლაკ. **უ-სა-უ** : დარგ. **უ-ც-ი** : ხუნდ. ვა-ც : ს.-ანდ. *ვა-ც-ი : ს.-დიდ. *ვე-ს-ი „მაა“;

2. ს.-დაღ. **ყ-ტა** : ალბ. : უდ. **ლ-ი** : ხინ. **ყ-ბ** : წახ. **ღ-ლ** : რუთ. **ღ-ლ** : აღ. **ლ-ლ** : თაბ. **ლ-ლ** : არჩ. **ი-ქ** : ხუნდ. **ყ-ო (< *ყ-უა)** : ს.-დიდ. *კ-ტა „დღე“;

3. ს.-დაღ. **ც-ა** : ალბ. : უდ. : ხინ. **ს-ა** : წახ. : რუთ. **ა-ლ** : თაბ. : ლეზგ. **ს-ა** : არჩ. **ო-ს** : დარგ. **ც-ა** : ხუნდ. **ც-ო** : ს.-ანდ. *ც-ა : ს.-დიდ *ს-ა „ერთი“...

3. დადასტურებულ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება ორგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა: ა) ალბანურ ლექციონარში გამოვლენილი ლექსიკა ნასესხებია დაღესტნურ ენათაგან, რაც ნაკლებსარწმუნოა; ბ) საანალიზო სახელები საერთოა, რაც ნიშნავს: ალბანური უდიურის წინამავალი ენაა და, აქედან გამომდინარე, დაღესტურ ენათა ერთ-ერთი წევრთაგანია.

მეგრულისა და ჭანურის ურთიერთობისათვის

1. მეგრულისა და ჭანურის გრამატიკული წყობა იდენტურია, თუ გავითვალისწინებთ ზოგ წმინდა ფონეტიკურ ფაქტორს.

2. ახალმა მასალამ, დამატებითმა ძიებამ არაერთი „განსხვავებულის“ იგივეობა-მსგაცებაც შეიძლება დაადასტუროს. ასეთია: ა) ჭანური გარდაუგალი ზმის აწყობის მაგვარი წარმოება მეგრულში; ბ) აგრეთვე, ჭანურის კილოკავის, ხოფურის, -ერ სუფიქსიანი თურმეობითის ანალოგიური წარმოება მეგრულში; გ) მეგრული პოტენციალისისა და ვნებითის ფორმათა განსხვავებული სუფიქსაცია ჭანურშიც.

3. ამ ორ ერთეულს შორის სტრუქტურული გამჭვირვალობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად მეგრულისაგან მკვეთრად განსხვავებით ჭანურში მოძალებული უცხო ლექსიკისა, ურთიერთგაგებინების საკითხი არ ისმის.

ფ ი ქ რ ი ა ა ფ ხ ა ი ძ ე

სინჰალური ნათესაობის სისტემისა და ნათესაობის ტერმინოლოგიის თავისებურებათა შესახებ

სინჰალა ენაში ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით სხვაობას გვიჩვენებენ სალაპარაკო, სალიტერატურო ენის სახეებსა და რეგიონალური მეტყველების მიხედვით. ლექსიკურ-სემანტიკური განსხვავება მარკირებულია სოციალური კლასების, აგრეთვე სინჰალურ საზოგადოებაში კასტური განსხვავების, ასაკის, სქესისა თუ ურთიერთმიმართვის კულტურულ-სოციალური ეტიკეტის დაცვის ფაქტორებით. ამიტომ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სინჰალური ნათესაობის სისტემა საკმაოდ მრავალფეროვანია.

სინჰალური ნათესაური სისტემა იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. სისხლით ნათესავი **lăkă næyō**
2. ახლო ნათესავი **lañiga næyō**
3. ქორწინებითი ურთიერთობით ნათესავი **ævæssa næyō**.
4. შორეული ნათესავი **durə næyō**


ნათესაობის ზოგად ცნებას კი აღნიშნავს ტერმინი **nædæyo** „ნათესაობა“ (ჭ. ბ. დისანაიაკა). კვემოთ საილუსტრაციოდ წარმოვადგენოთ სინჰალური ნათესაობის სისტემის ამსახველ ჩვენ მიერ შედგენილ სქემებს. ტერმინოლოგიური თავისებურებების შესახებ კი მოხსენებაში ვიმსჯელებთ.

გვერდითი ნათესავები

მამის ძმა (უფროსი) **loku tātta**
უმცროსი ბიძა: **mahappā;** **bāppa;** **punči**
tātta; **kudappačči**

მამის ძმის ცოლი || ბიცოლა: **nendə**

დედის ძმა(ბიძა): **mātula** (უფროსი)
(სალიტ.) **luku māma** ; დედის
უმცროსი ძმა: **punči māma**
დედის ძმის ცოლი || ბიცოლა:
nendə



ჯვარედინი ბიძაშვილები

მამის
ძმიშვილი
ბიჭი
massinā

მამის
დის
შვილი
(გოგო) **næsnā**

დის
შვილი
გოგო
næsnā


დის
შვილი
ბიჭი
massinā

მამის
დის
შვილი
მიშვილი
ბიჭი
massinā




დედის
შვილი
(გოგო) **næsnā**

დედის
შვილი
გოგო
næsnā

დედის
შვილი
ბიჭი
massinā




ବିରଦ୍ଧାବିରଦ୍ଧି ନାତେସାଙ୍ଗେଦି



ქორწინებით ნათესავები

ævæssa næyō



სინპალურ საზოგადოებაში ქორწინებითი ურთიერთობით შექმნილი ნათესაობის თავისებურებას წარმოადგენს ჯვარედინ ბიძაშვილთა ქორწინების პრივილეგირებული ინსტიტუტის არსებობა. ტრადიციულად სინპალურ საზოგადოებაში სხვადასხვა სქესის (და-მმის) დედმამიშვილთა შვილებს შორის ქორწინება პრივილეგირებულია, ხოლო პარალელურ (დების: ან ძმების შვილებს შორის) ბიძაშვილთა შორის ქორწინება ინცესტუალ ითვლება. ჯვარედინ ბიძაშვილთა ამსახველი ტერმინოლოგია იხ. გვერდითი ახლო ნათესავების ტერმინთა შესაბამის სქემაზე.

ତେବୁ ପ୍ରକାଶନକାଳୀଙ୍କ

ერთი ტიპის ჰიპოტეზური წყობისათვის
საშუალ ქართულში

- 1) საშუალი ქართულის წერილობით ძეგლებზე დაკირვება საინტერესო სურათს იძლევა. ჰიპოტეზურ კონსტრუქციებში ხშირად გვხვდება ხოლმე ორ-ორი სიტყვა, რომლებიც ქვეწყვილი წინადაღების ნაწილებს აკავშირებენ. ერთი მათგანი მთავარ წინადაღებაშია, მეორე კი — დამოკიდებულიში. ამ პერიოდის ლიტერატურაში შეგვხვდა შემდეგი წყვილ-წყვილი სიტყვები: **ისეთი-რომელი, ისე-რომ, იქ-სადაც, ისე-ვთათ, ისეთი-რომ, თუ-მაშინ.**

როულ ქვეწყობილ წინადადებათა აგებისას წინადადებაში ხშირ შემთხვევაში არის ხოლმე ორივე წყვილი სიტყვა. მაგრამ გვხვდება ისეთი წყობაც, როცა მთავარ წინადადებაში მისათითებული (საკორელაციო) სიტყვა თუ საპირისპირო კავშირი არ არის. ასეა დღევანდელ სამწერლობო ძეგლებში. როგორც ჩანს, ამ სახის წინადადებები საშუალ ქართლშიც ხშირია:

„შევიბენით და შეიქმნა ომი, **რომელი** არა ითქმის კაცისა ენი-საგან სიღიღე იმისა და სიფიცხე ეგეთი“ (ამირან. გვ. 53); „რა აქით აიყარნენ და ცოტა ხანი ვლეს, დახვდა გზანი ტურფად მოკაზმულნი, **რომე** მის უამესი არა იქნებოდა რა“ (რუსულ. გვ. 102); „**სადაცა** გწადიან, წამიყვანე, არ გაყენებო“ (ვისრ. გვ. 30); შეიქმნა გრგვენვა და ზრიალი, **რომელ** ამას გვანდა, ცასა მიწაზედან დასცემენო“ (რუსულ. გვ. 102); „**თუ** ორასი კაცი სახლისა მაშენებელი იყოს, ერთი ამაოხრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა“ (ვისრ. გვ. 134); „მე, **ვითა** ჩემი სიცოცხლე, მიყვარს ჩემი ვირო, და **ვითა** თვალი, არ გამეშვების ჩემი შაჰრო“ (ვისრ. გვ. 19).

შდრ. მისი სრული ვარიანტი:

შევიძენით და შეიქმნა ისეთი ორი, რომელი არა ითქმის კაცისა ენისაგან სიღიღე იმისა და სიფიცხე ეგეთა. რა აქით აიყარნენ და ცოტა ხანი ვლეს, დახვდა გზანი **ისე** ტურფად მოკაზმულნი, **რომე** მის უამესი არა იქნებოდა რა; სადაცა გშადიან, **იქ** წამიყვანე, არ გაყენებო; შეიქმნა **ისეთი** გრგვინვა და ზრიალი, **რომელ** ამას გვნდა, **თითქოს** ცასა მიწაზედან დასცემენო; **თუ** ორასი კაცი სახლისა მაშე-

ნებელი იყოს, **მაშინ** ერთი ამოახრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა; მე, **გითა** ჩემი სიცოცხლე, **ისე** მიყვარს ჩემი ვირო, და **გითა** თვალი, **ისე** არ გამეშვების ჩემი შაპრო;

3) ამ ტიპის წინადადებებში იმის გამო, რომ საკორელაციო სიტყვა თუ საპირისპირო კავშირი არ არის, აზრი არ ირღვევა და გაგებინება შინაარსისა სრულია. აյ სხვაობა დეტალებშია. როდესაც მთავარ წინადადებაში არის რომელიმე მისათითებელი სიტყვა, ის თავიდანვე გვავარაუდებინებს, რომ მას მოჰყვება დამოკიდებული წინადადება. ხოლო თუ პიპოტაქსურ წყობაში არ არის ასეთი სიტყვა, მაშინ ეს უფრო დამოუკიდებელს ხდის წინადადებას.

შალვა გაბესკირია

აკად. ა. შანიძის ორი მოსაზრების შესახებ

1. ყაყაჩო

1. ა. შანიძის ვარაუდით, ქართული ყაყაჩოს არქეტიპი რედუქტულიცირებული ***ყაჩაჩი** არის. ამ მოსაზრებას მხარს უნდა უჭირდეს არაბული ხაშხაშ („ყაყაჩი“), რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში უცნობი წარმომავლობის სიტყვად ითვლება. ქართული ***ყაჩაჩი** სიტყვა-ფორმა არაბულ ენაში კანონზომიერად მოგვცემდა **ხაშხაში**.

2. ბისონი

ბისონი, რომელიც შოთა რუსთაველის პოემაში ერთხელ გვხვდება („ცრემლი სდის, ვითა ბისონი“ — 719, 4), რუსთველოლო-გიურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირადა განმარტებული.

„ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემისთვის ა. შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში ბისონი სამოთხის მდინარედაა ახსნილი: „თითქო ბისონი (ე. ი. ერთი ტოტთავანი მდინარისა, რომელიც, ბიბლიური მითოლოგით, ვითომც ედემიდან გამოდიოდა: დაბად. 2, II)“.

ბისონი, შესაძლებელია, ქართულ ჰიდრონიმ ფაზისის („ჭორო-

ხი“) გადმოცემა იყოს, ქართული **ფასი**-ი ძველებრაულში შეიძლება ფისონის სახით გადასულიყო. ნარი სემიტურ ენებში გადასულ ქართულ სიტყვებს, როგორც საზოგადო, ასევე საკუთარ სახელებს, ემატება, შდრ. თივა > არაბ. თიბნ „ჩალა“, ტელეფია > თელეფინუ.

ლელა გიგლემიანი

მეგრული ბრანგ- ფუძის წარმომავლობისათვის

მეგრულში სიტყვა **ბრანგუა** „მაგრად (ზომაზე მეტად) დათრობას“, ხოლო **გობრანგილი** „ძლიერ, ზომაზე მეტად მთვრალს“ ნიშნავს (ო. ქაჯაია): გობრანგილი მაყარეფი შარას მიბირდეს — „მთვრალი მაყრები გზაზე მიიმღეროდნენ“.

ვფიქრობთ, ეს სიტყვა მეგრულში ქართულიდან უნდა იყოს შესული, — შდრ. ქართული **ბანგი** — „ძილის მომგვრელი წამალი“.

ამ სიტყვის მეგრულში სესხებას გვავარაუდებინებს ის გარემოება, რომ ხმოვნებში კანონზომიერი შესატყვისობა არა გვაქვს და **ბრანგილი** მეგრულისთვის თითქოს პრობლემურია.

აღნიშნული ქართული ფუძის თავდაპირველი სახე უნდა იყოს **ბრანგი**, რომელიც მეგრულმა სრულად შემოგვინახა (თუმცა ასახსნელია, რატომ დაიკარგა ქართულში რ).

შესაძლებელია, ქართულ ამოსავალ **ბრანგ- ფუძის** ასევე უკავშირდებოდეს დიალექტებში წარმოდგენილი **ბრინჯი**- ალომორფი, შდრ. ქიზიყური **ბრინჯვა, გაბრინჯული** — „სავსე თავთავი; ძალიან გამძლარი ადამიანი, ძალიან მთვრალზედაც იტყვიან“ (ალ. ღლონტი).

აკაკი შანიძე და ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია

XX საუკუნის ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაში განუზომელია აკაკი შანიძის ღვაწლი.

ა. შანიძეს პრინციპული დამოკიდებულება აქვს სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი. იგი, ცხადია, ზედმიწევნით იცნობს ტრადიციულ ქართულ თუ უცხოურ ტერმინებს; ამის საფუძველზე ხშირ შემთხვევაში მეცნიერი ქმნის და ამკვიდრებს ახალს, მისი აზრით, ქართული ენის ბუნებისათვის, შესაბამისი გრამატიკული ცნებისათვის უფრო მეტად მისადაგებული...

ა. შანიძის მოღვაწეობის ადრეული პერიოდის რუსულენოვანი ნაშრომის შედარება იმავე ნაშრომის ქართულენოვან ვარიანტთან საინტერესო მასალას იძლევა მსჯელობისათვის.

თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტერმინის სიზუსტეს, მოხერხებულობას, სიმარჯვეს, ამის თაობაზე ა. შანიძე საკმაოდ ვრცლად მსჯელობს „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“. ეს მსჯელობანი, ფაქტობრივ, არის ინსტრუქცია იმისათვის, თუ როგორ უნდა შემუშავდეს სამეცნიერო ტერმინები, რას უნდა მიექცეს ყურადღება ტერმინის შექმნისას.

მეგვარი თეორიული პოზიციის მქონე მეცნიერი გამუდმებით ხვეწს, აზუსტებს, საჭიროების შემთხვევაში ცვლის ტერმინს. მაგალითად, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ნაშრომში (ან ერთი და იმავე ნაშრომის სხვადასხვა გამოცემაში) ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად გამოიყენებს ტერმინებს — **დრო, კილო, დრო-კილო, რიგი, წევრი...** საბოლოოდ ამკვიდრებს ტერმინს **მწკრივი** და გვთავაზობს იმასაც, თუ რომელ უცხო ენაზე ეს ტერმინი როგორ უნდა იქნეს გადატანილი. მსგავსი მაგალითი არაერთია.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადად აკაკი შანიძის სახელმძღვანელოები (ან მათზე დამყარებული) არის დამკვიდრებული. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ა. შანიძის მიერ გამოყენებული ტერმინები, ფაქტობრივ, საყოველთაოდ დამკვიდრდა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

-ელ-ზე დაბოლოებულ სახელთა მართლწერისათვის

თანამედროვე ქართულში არაერთგზის დასტურდება (ერთმანეთის პარალელურად) -**ელ-ზე** დაბოლოებულ სახელთა შეკუმშული და შეუკუმშავი ვარიანტები (აქვე აღვნიშნავთ, რომ საანალიზო ფორმათა ერთ ნაწილთან -**ელ** არ არის წარმომქმნელი აფიქსი, სხვა შემთხვევაში კი იგი სუფიქსია და ძირითადად აწარმოებს: ა) სასუბიექტო მიმღებებს **მ-, მა-, მე-** პრეფიქსებთან ერთად; ბ) საობიექტო მიმღებებს **სა-** პრეფიქსთან ერთად; გ) უარყოფის გამომხატველ საობიექტო მიმღებებს **უ-** პრეფიქსთან ერთად; დ) ვისიმე ან რისამე მიმღევრობისა თუ ხელობის სახელებს; ე) წარმომავლობის სახელებსა და სხვა): **აუტანლის** და **აუტანლის** (აუტანლით და აუტანლით, აუტანლად და აუტანლად); **გასამხნევებლის** და **გასამხნევებელის** (გასამხნევებლით და გასამხნევებელით, გასამხნევებლად და გასამხნევებელად); **გაუტეხლის** და **გაუტეხელის** (გაუტეხლით და გაუტეხელით, გაუტეხლად და გაუტეხელად); **დასამშვიდობლის** და **დასამშვიდობელის** (დასამშვიდობლით და დასამშვიდობელით, დასამშვიდობლად და დასამშვიდობელად); **დაუძლევლის** და **დაუძლეველის** (დაუძლევლით და დაუძლეველით, დაუძლევლად და დაუძლეველად); **ვეგეტარიანლის** და **ვეგეტარიანელის** (ვეგეტარიანლით და ვეგეტარიანელით, ვეგეტარიანლად და ვეგეტარიანელად); **იუდევლის** და **იუდეველის** (იუდევლით და იუდეველით, იუდევლად და იუდეველად); **მახარობლის** და **მახარობელის** (მახარობლით და მახარობელით, მახარობლად და მახარობელად); **მსმენლის** და **მსმენელის** (მსმენლით და მსმენელით, მსმენლად და მსმენელად); **მქსოვლის** და **მქსოველის** (მქსოვლით და მქსოველით, მქსოვლად და მქსოველად); **რკინიგზლის** და **რკინიგზელის** (რკინიგზლით და რკინიგზელით, რკინიგზლად და რკინიგზელად), სამოციანლის და სამოციანელის (სამოციანლით და სამოციანელით, სამოციანლად და სამოციანელად); **ფიზკულტურლის** და **ფიზკულტურელის** (ფიზკულტურლით და ფიზკულტურელით, ფიზკულტურლად და ფიზკულტურელად) და მრავალი სხვა. ბუნებრივია,

სადავო ფორმები გვაქვს მრავლობით რიცხვშიც (ვეგეტარიანლები და ვეგეტარიანელები, იუდევლები და იუდეველები, მახარობლები და მახარობელები, მსმენლები და მსმენელები, რკინიგზლები და რკინიგზელები, სამოციანლები და სამოციანელები, ფიზკულტურლები და ფიზკულტურელები...).

აღსანიშნავია, რომ თვისების გამომხატველ -ელ-ზე დაბოლოებულ სახელთა ერთი ნაწილი მხოლოდ ვითარებით ბრუნვაში (%მნისართად მოქცევისას) იკუმშება (გრძელი—გრძელის—გრძლად; ვრცელი—ვრცელის—ვრცლად; თხელი—თხელის—თხლად; სქელი—სქელის—სქლად; ცხელი—ცხელის—ცხლად...). %ოგჯერ კი, პირიქით, ესათუ ის სიტყვა უკუმშველად სწორედ ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება (საჭმელი—საჭმლის—საჭმელად; სასმელი—სასმლის—სასმელად...). გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ ერთეულის კუმშვა თუ უკუმშველიბა დაკავშირებულია მის სემანტიკასთან, მაგ., ნათელი — 1. სინათლით მოცული (გადმობრწყინდა ნათლის სვეტი...), 2. გათელილი (ქვეყანა იქცა ველად, ნათელად...). საგულისხმოა, რომ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში კუმშვის თვალსაზრისით განსხვავებული ფორმებიც სწორედ -ელ-ზე დაბოლოებულ სახელებთან გვაქვს (სასმელი—სასმლის—სასმელები; ფეხსაცმლი—ფეხსაცმლის—ფეხსაცმლები...).

სადავო ვარიანტები გვხდება -დელ სუფიქსიან სახელებშიც (კვლავ კუმშვის თვალსაზრისით). ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ადრინდლის და ადრინდელის (ადრინდლით და ადრინდელით, ადრინდლად და ადრინდელად); ამჟამინდლის და ამჟამინდელის (ამჟამინდლით და ამჟამინდელით; ამჟამინდლად და ამჟამინდელად); გვიანდლის და გვიანდელის (გვიანდლით და გვიანდელით, გვიანდლად და გვიანდელად); წლევანდლის და წლევანდელის (წლევანდლით და წლევანდელით, წლევანდლად და წლევანდელად); ხვალინდლის და ხვალინდელის (ხვალინდლით და ხვალინდელით, ხვალინდლად და ხვალინდელად) და სხვა.

პარალელური ფორმები გვაქვს მრავლობით რიცხვშიც (ადრინდლები და ადრინდელები, ამჟამინდლები და ამჟამინდელები, გვიანდლები და გვიანდელები, წლევანდლები და წლევანდელები, ხვალინდლები და ხვალინდელები...).

სადავო სიტყვათა ერთი ნაწილი „განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით მიჩნეულია კუმშვად სახელებად (მაგ., დაუძლეველი—დაუძლევლისა, შემარცვენელი—შემარცვენლისა...), ხოლო მეორე — უკუმშველად (მსმენელი—მსმენელისა, ვერმიშელი (იტალ.)—ვერმიშელისა, ვეგეტარიანელი—ვეგეტარიანელისა, გამყიდველი—გამყიდველისა...). „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ აღნიშნული ფორმები წარმოგვიდგებიან სახელობითი ბრუნვით (ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გარეშე). სხვა შემთხვევაში „განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით კვლავ შეკუმშულად (მოუთმენელი—მოუთმენლისა...) ან შეუკუმშველად (ფიცხელი—ფიცხელისა...) დასტურდება -ელ-ზე დაბოლოებული სახელები, ხოლო „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სიტყვას მიწერილი აქვს მხოლოდ ვითარებითი ბრუნვის ფორმა (მოუთმენელი—მოუთმენლად, ფიცხელი—ფიცხლად...). იკუმშებიან თუ არა ისინი ნათესაობითი (ან მოქმედებითი) ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ფორმებში? მოუთმენლის თუ მოუთმენელის? მოუთმენლები თუ მოუთმენელები? ფიცხლის თუ ფიცხელის? ფიცხელები თუ ფიცხელები?

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის (აღნიშნული ტიპის) ფორმა წარმოდგენილია „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სხვა სახის (რომელიც არ უკავშირდება კუმშვის პრობლემებს) უზუსტობის გამო, მაგ., მქსოველი [და არა მქსოვი], მაგრამ: მქსოვლის თუ მქსოველის? მქსოვლები თუ მქსოველები? ან კიდევ: ყარაჩოხელი [და არა ყარაჩოდელი], მაგრამ: ყარაჩოხლის თუ ყარაჩოხელის? ყარაჩოხლები თუ ყარაჩოხელები?

რა თქმა უნდა, -ელ-ზე დაბოლოებულ სახელთა ერთი ნაწილისათვის ნორმა დადგენილია (კუმშვის პრობლემასთან დაკავშირებული), მაგ., მთხოობელი—მთხოობლისა, ლვეზელი—ლვეზლისა, ლუმელი—ლუმლისა, შემსრულებელი—შემსრულებლისა და სხვა. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები მხოლოდ სადავო ფორმებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, აღნიშნული ტიპის სახელთა ანალიზისას (მართლწერისათვის) გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მარცვალთა რაოდენობას და, რა თქმა უნდა, ისტორიულ პრინციპს.

არქაული ლექსიკის კვალი იმერულში

თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში მეტ-ნაკლები რაოდენობით არის შემონახული ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულები, რომელთა შესწავლა მრავალმხრივ საინტერესოა. იმერულს კლასიკური სამწიგნობრო ენისაგან შემორჩა სიტყვები, რომელთა უმეტესი ნაწილი დიალექტიზმებადა გააზრებული; ისინი ასევე დასტურდება ამ რეგიონიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებშიც. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე:

ხვინჭკა — წვრილი კენჭი.

განმარტებულია სულხან-საბასთან: **ხვინჭა** — წყალთ კენჭი. **ლვნჭა** — წურილოვანი ქვა, კენჭი (ი. აბულაძე): „შთააგდის ბუდესა მას შინა ლვნჭად ერთი მცირე“ (ბ. კეს.-ექს. დღ. 99, 28);

ეს სიტყვა დღესაც გამოიყენება ქვემომერულში. ვიმოწმებთ ო. იოსელიანს: „თავმომწონე ბაბუაშენს ფსკერგავარდნილ ქალამნებში **ხვინჭკა** და ხრეში ფეხისგულებში უხიცინებდა“ (ო. იოსელიანი, 1991, 264);

ქემომერულში დასტურდება **ხვინჭკარო** — ხვინჭკიანი: „ხვინჭკარო მიწაზე კარგათ ივარგა ბოსტანმა“ (ქ. ძოწენიძე, 1974, 511).

წირთხლი — კარის გარდასაბიჯებელი (საბა, 1991, 394): ზღურბლი (ი. აბულაძე): „წირთხლთა თანა კარისა შენისათა დასდევ საყსენებელი შენი“, I, ეს. 57. 8.

სალიტერატურო ქართულში ეს სიტყვა აღარ გამოიყენება. ქეგლში სხვა მნიშვნელობაა მოცემული, აღნიშნავს კარის ან ფანჯრის ჩარჩოს ერთ გვერდს (VIII, 1138);

განსხვავებული მნიშვნელობით გვხდება სიტყვა ლეჩუმურ დიალექტში; ეს არის ალაყაფის კარის — ეზოს დიდი ჭიშკრის სვეტი (ალ. ღლ.); ქვემომერულში „წირთხლი“ ძველი მნიშვნელობით გამოიყენება: „იქვე, კარის წირთხლთან მიდგმულ სკამზე მუხლებმოსავებული ეშვები“ (ო. იოსელ.).

ამავე მნიშვნელობით იხმარება იმერულში კიდევ ერთი არქაული სიტყვა — **კარაპანი**, რომელსაც ო. იოსელიანი ნაწარმოებშივე

განმარტავს: „კარისაკენ წავედი. მაღალ კარაპანზე (**ზღურბლზე**) გადავალაზე და აიგნის სოხანეზე დავდექი“.

„კარაპანზე შემოფრენილი კრუხი მოუხმობდა აწივლებულ წიწილებს“.

სულხან-საბას განმარტებით, **კარაპანი** უწოდებენ კალოს პირას ნაგებ სახლს. კარაპანი სომხურია, ქართულად არდგმული ჰქვია (საბა, 1991, 61);

კარაპანი || კარაპი — ზღურბლი (ილ. აბულაძე).

„გარდამოვიდა მეფე... ნავისაგან კარაპად“ (192).

კარაპანი || კარაპანი — წინკარი (პ. გაჩ.);

კბოდე — საბას განმარტებით, ესაა ზღვისა და წყლის პირი, კლდოვანი — ფლატ(ო)იანი ჩაუგალი (1991, 363);

ასევე განმარტავს ი. აბულაძეც.

„შეკრბეს ძუალნი იგი წმიდათანი მათ კბოდესა ერთსა ჭუეში მის წყლისასა (სბსტ 142, 21);

კბდოვანი — კლდოვანი (ზ. სარჯვ.).

„ვითარცა იგი ეძიებდეს კბდოვანსა მას, პოეს ლომი საშინელი“

[ler — 3 91 v1 - 2-33];

იმერულში კბოდე ციცაბო, დამრეც, მიუდგომელ ადგილს აღნიშნავს:

„გალმიდან მაღალია, კბოდეა, დიდი ხნის დამკლავულ ფესვებს ამოვყვებით და ამოვდივართ“.

„ბებერი აკაციის ძირში, კბოდეზე რომ ალაგე გვაქვს, იქით მიდის“.

„იქით ცხოვრობს, ღობის გადაღმა, თვალებგადმოცვენილი ამოქვრა ჭიშკრის პირდაპირ, კბოდეზე“ (ო. იოსელ.).

გოხი — „აძლად კლდოვანი სერზედა, კლდე, ქვა“ (საბა, 1991, 168);

გოხი || გოხიკო — უბალახო, მოტიტვლებული ადგილი, მცენარე რომ არ ხარობს (ქ. ძოწ. 1974, 105);

გადაგოხილი — ურწყავი, მწირი: „იქა გადაგოხილი ადგილები იყო და მოსავალი არ ვარგოდა“ (ქ. ძოწ. 69);

სიტყვა დასტურდება გამოთქმაში „გოხის კურდელივითაა“, ანუ სუსტია, გამხდარი, უღონო.

აქვს სხვა მნიშვნელობაც: **გოხი** — მკვახე ხილი (პ. გაჩ.).

ტრიზა — ცხენის ფერჯმა რომ კაცს ტალახი შეასხას (საბა, 1993, 141);

გატრიზავება — კარგი სიტყვა რომ წაუხდინოს მტერობით (საბა, 1996, 150).

იმერულში **გატრიზავება** შერცხვენას, მასხრად აგდებას, დაცინვას ნიშნავს:

„ბარებ აიგდონ, გაატრიზაონ, ვინ დაუშლით?“

„შე ქალო, გაძიძავება ქე გვაქვს გაფონილი... გაუტრიზავებია რძალი“

„მის ბოდიშებს ატრიზავებს, ვითომ, რა დროს ესაა, რა სჭირს... ის იკითხეო“ (ო. იოსელი).

რომან ლოლუ ᷄

რამდენიმე შენიშვნა ახლადაღმოჩენილი ალბანური პალიმფსესტის ფონეტიკურ სისტემასთან დაკავშირებით

1994 წელს, პალესტინაში, სინას მთაზე მდებარე წმინდა ეკატერინეს მონასტერში ჸ. ალექსიძის მიერ აღმოჩენილ იქნა უძველესი (ალბათ, V საუკუნის) ალბანური პალიმფსესტი (ლექციონარი). მოგვიანებით, 2003 წელს გამოვიდა მისი წიგნი სახელწოდებით — „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“. ეს გახლავთ პირველი მეტ-ნაკლებად წარმატებული ცდა ძველი ალბანური ხელნაწერის გაშიფრისა.

მატენადარანის (№7117) ხელნაწერის 52 გრაფემიდან პალიმფსესტის ტექსტში დადასტურბულია 46 გრაფემა, მათგან, ზ. ალექსიძის აზრით, ზუსტადაა ცნობილი 35 გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა (აქედან ერთი გრაფემა არ მოიპოვება მატენადარანის ხელნაწერში, ესაა ჸ ფონემა). ჸ ასო-ბგერა ჟკ დიფთონგი გადმოცემული იყო ლიგატურით. ეჭვს იწვევს რამდენიმე გრაფემის იდენტიფიკაცია. სომხური ხელნაწერის №14 (შა) გრაფემას ზ. ალექსიძე ჸ ფონემად

მიიჩნევს და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითები: ხაშ („ნათელი“, უდ. „მთვარე“), ბეში („ჩვენი“). №33 (შაქ) გრაფემას კი მიიჩნევს ჸ ფონემის ნაირსახეობად და მაგალითად მოჰყავს შემდეგი სიტყვები: ჸუ („ღამე“), ხაშ („ნათელი“), ბეში („ჩვენი“) ანუ ორი განსხვავებული გრაფემის ფონეტიკურ ღირებულებას ავტორი ასაბუთებს ერთი და იმავე მაგალითების მეშვეობით, რაც გაუგებრობას იწვევს. №17 (ხენ) გრაფემას ზ. ალექსიძე მიიჩნევს ჸ- ფონემად. მაგალითებია: კიბ „სამი“, კიბარუნ „მესამე“, გაშ „ნათელი“, შდრ. თანამედროვე უდიური ხიბ — სამი, ხაშ — მთვარე, თვე. საერთდ „წ“ და ხ ასო-ბგერები შეიძლება ერთი გრაფემა იყოს, რადგან მათი მოხაზულობა თითქმის ერთნაირია. №8 (ჟილ) იდენტიფიცირებულია როგორც ჸ ფონემა, თუმცა ამის დასამტკიცებლად არანაირი მაგალითი მოყვანილი არ არის. როგორც ჩანს, არეულია №37 (ხამ) და №41 (ფეს) გრაფემები. №52 (ჭივ) ჸ, მოხაზულობით უფრო წააგვს №23-ს (ჰავ). ასევე საეჭვოა №7 (ენ), №27 (ჭი), №32 (ჭამ), №39 (ჩატ) და №49 (ცახნ) იდენტიფიკაცია შესაბამისად ე, ჭ, ჭ, ჩ, ც ფონემებად. ზოგიერთი ფაქტორიდან გამომდინარე სარწმუნო არ ჩანს №18 (დან) და ფონემად მიიჩნევა და ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას უნდა ეკავოს ანბანში მე-4 ადგილი.

მეუფე ანდრია (გვაზავა), ნელი მახარაძე,
მარიკა კვესელავა, ლია ქაროსანიძე

საეკლესიო ტერმინთა ლექსიკონისათვის

საეკლესიო ტერმინთა ისტორიის შესახებ საგანგებო გამოკვლევა ქართულ ენაზე არა გვაქვს. მართალია, ბევრი ქართველი მეცნიერი განიხილავს ამა თუ იმ საეკლესიო ტერმინს, მაგრამ ეს ტერმინები თავმოყრილი არ არის. საეკლესიო ტერმინთა ისტორიის გაუთვალისწინებლობის გამო ზოგჯერ საეკლესიო ლიტერატურაშიც კი არასწორ ინტერპრეტაციას ვხვდებით.

მაგალითისათვის: საეკლესიო კალენდრის ერთ-ერთ ნომერში

კვითხულობთ: „დიაკონის ქვემდგომს კერძო დიაკონი ჰქვია. ძველად მას კანანარხი ერქვა („კარნაზიდან“), ვინაიდან იგი ეკლესიაში მქითხველი იყო და ამ საგალობლების პირველი მუხლის დაწყებით მგალობლებს ამ საგალობლების ხმას მიანიშნებდა, ანუ „ჰკარნაზობდა“.

ცნობილია, რომ **კანაზი** ბერძნული სიტყვაა; **მონიშვნელობა** კანონის (გალობის) დაწყებს ნიშნავს.

შეცდომას წაგაწყდით ტერმინ **ენქერთან** დაკავშირებითაც:

„ენქერი (ბერძ. სამუხლე). იგი აუცილებელი ნაწილია სამღვდელმთავრო შესამოსლისა. სიტყვა ენქერი აღნიშნავს „ჯოხს“, „კვერთხს“. მას აქვს რომბის ფორმა და ერთი კუთხით იკიდება“.

სხვაგან კი იგივე ენქერი ასეა განმარტებული: „მღვდელმთავრებსა და დამსახურებულ მღვდლებს აქვთ საგვერდულის ანუ ენქერის შემოსვის უფლება. ენქერი ეს არის ოთხკუთხა ქსოვილი, რომელიც მარჯვენა მხარეს მაგრდება“.

ეს მაგალითები მხოლოდ მცირედი ილუსტრაციაა იმის დასტურად, რომ დროულია და აუცილებელი საეკლესიო ტერმინთა ლექსიკონის შექმნა. სწორედ ამ სახის ლექსიკონზე ვმუშაობთ უკვე ერთი წელია სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსის, მეუფე ანდრია გვაზავს, წამოწყებითა და უშუალო მონაწილეობით.

მოხსენებაში განვიხილავთ სალექსიკონ მასალას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნანა მაჭავარიანი

„ინდი-მინდის“ წარმომავლობისათვის

ჭართული ხალხურ პოეზიაში გვხვდება ამჟამად სემანტიკისაგან დაცლილი ლექსიკური ერთეული „ინდი-მინდი“, რომელსაც რეფრენის ფუნქცია ეკისრება:

„ინდი-მინდი, ფერად შინდი,
გადმოფრინდი, გადმობრწყინდი,
იცი, ჩემო სიცოცხლეო,

გულში ვარდათ ჩამიფრინდი“ (ჭართული ხალხური პოეზია, VI, თბ., 1978, 310-311).

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ინდი-მინდი“ შეიძლება იყოს ერთი და იმავე ზმნის პირიან ფორმა-თაგან შემდგარი ორკომბონენტიანი, თანამედროვე ჭართულის თვალსაზრისით, „შეკუმშული“ ლექსიმა, რომლის პირველი ნაწილის ანლაუტში უნდა ვივარაუდოთ | ობიექტური პირის მ-, ან ॥ ობიექტური პირის გ- პრეფიქსი, ხოლო მეორე კომბონენტის თავკიდური მ- | ობიექტური პირის ნიშანი უნდა იყოს: *მ-ინდი-(ხარ) — მ-ინდი(ხარ) ან *გ-ინდი-(გარ) — გ-ინდი(გარ).

დროთა ვითარებაში ლექსიმის პირველ ნაწილს (ზმნას) პირის ნიშანი „მოეცვითა“, მეორე ნაწილს კი შერჩა და ახლაც სახეზეა. ამასთან, ორივე კომბონენტმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

ლაშარა ნოზაძე

აკაკი შანიძის მიერ ზეპირად გამოთქმული რამდენიმე თვალსაზრისის შესახებ

მოხსენებაში წინასწარი ცნობის სახით წარმოდგენილია აკაკი შანიძის გარკვეული მოსაზრება მოთხრობითი ბრუნვის -ნ ფორმანტთან დაკავშირებით, ასევე ვარაუდი შოთა რუსთველის წარმომავლობის შესახებ.

ტოპონიმიკურ-ონომასტიკური ძიებანი ზემოქართლიდან

ენის ლექსიკურ სისტემაში გამოიყოფა ფენა, რომელსაც ქმნის ადამიანთა და ადგილთა სახელდების ფართო ნომენკლატურა. მათი ერთობლიობის აღსანიშნავად მიღებულია ტერმინი ონომასტიკა, რომელიც ასეთ მასალებს აღწერს და შეისწავლის.

ზემო ქართლის ტოპონიმები, ლაპიდარული წარწერები ძირითადად ძველია, რომლებიც ორი ასპექტით — ისტორიის ჩვენებით და დღევანდელი ვითარებით — უნდა შევისწავლოთ. ქალაქ ცხინვალის დასავლეთით ხუთი-ათი კილომეტრის დაშორებით და აღმოსავლეთით ასევე ხუთი კილომეტრის დაცილებით მდებარეობენ დასახლებული პუნქტები ტბეთი, დოდოთი, ბორცვისჭვარი, გომართის ეკლესია, საქართლის ციხე და სოფელი ერედვი. როგორც დაკვირვებამ და ლაპიდარულმა წარწერებმა დაგვიდასტურა, ამ პუნქტებს ბევრი საერთო მოეპოვებათ ონომასტიკის თვალსაზრისით და მათი გათვალისწინება და დღევანდელი ვითარების შესწავლა აუცილებელია.

პროფესორი აკაკი შანიძე გამოკვლევაში „ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქარლი, ქართველი“ აღნიშნავს, რომ სიტყვა **ქართლი** მიღებულია **პართისაგან** — **ქართნი, კ** ნაწილობრივ დაემსგავსა მომდევნო თ-ს და მივიღეთ **ქართნი, აქედან ქართლი...**“.

ზემო ქართლში, სოფელ წორბისის ჩრდილოეთით არის მტკიცედ ნაები და დღესაც კარგად შემონახული სიმაგრე, რომელსაც საქართლის ციხე ეწოდება. აღსანიშნავია, რომ „ქართლი“ დაცულია ყოფილი ჯავის, ახლა კი საჩერის რაიონის სოფელ ქარზმანის მოსახლეობაში, რომელიც ტერიტორიულად ახლოსაა საქართლის ციხის ჩრდილოეთით მდებარე ქედებთან. ერთ მდინარეს ისინი უწოდებენ „ქართლის ღელეს“.

ქართლ-იმერეთის სასაზღვრო ზონაში აგებული ზემოხსენებული ციხე განკუთვნილი იყო ქართლისათვის, ქართველთათვის. წერილობითი წყაროების მიხედვით, აღნიშნული ციხის მფლობელები გვიანთვეოდალურ ხანაში ფალავანდიშვილები და მათი განაყარი ამირე-ჯიბები იყვნენ.

საქართველოს გაერთიანების ხანაში ზემოხსენებული გეოგრაფიული პუნქტების მფლობელი წარჩინებული ტბელები არიან, რომლებიც გრანდიოზულ მშენებლობას ეწევიან მხარეში. -**ელ** სუფიქსიანი ფეოდალური გვარები წარჩინებულთა მიერ იმ პუნქტების მფლობელობას უკავშირდება. ჩანს სოციალურმა მოვლენებმა ამ დროისა გამოიწვია -**ელ** სუფიქსიანი გვარსახელების წარმოქმნა.

ერედვის 914 წლის წარწერა გვაუწყებს, რომ „ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა“ აიგო ტაძარი. დაახლოებით ამავე პერიოდისაა დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა: „სახელითა ღმრთისაითა ივანე ერისთავმან ტბელმან აღაშენა ესე წმიდაი ეკლესიაი“. პირველ წარწერაში არა, მაგრამ მეორე წარწერაში ტბელი უკვე ქართლის ერისთავია.

1980 წელს ტბეთის დასავლეთით სოფელ წორბისში აღმოჩენილი წარწერა გვაუწყებს, რომ „სახელითა ღმრთისაითა ესე კოშკი შექმნა ივანე ერისთავმან“. ჩანს, რომ ივანე ერედვის წარწერაში ჯერ არ არის ერისთავი, დოდოთის წარწერაში კი ის უკვე ერისთავია.

მხარის ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით შესაძლებელი ხდება IX-X საუკუნეების ტბელთა გენეალოგიის მიახლოებითი აღვენა. ასე იყო ქართული გვარსახელების წარმოქმნა გადაჯაჭვული ფეოდალური სოციალური ურთიერთობის მოვლენებთან. აშკარაა, რომ ზოგიერთი გვარი ამ გვარების საფუძვლის ჩამყრელთა ქართლში მიგრაციის დროს წარმოშვა. მაგალითად, ტბელების შემდგომ ზემოხსენებულ ტერიტორიებს ფლობდნენ თავადი ფავნელები, შემდგომ ფავლენიშვილები, რომლებიც ბოლოს სოფელ ერედვში დამკვიდრდნენ.

ქართული სამართლის ძეგლების III ტომში მოთავსებულია წიგნი ანტონ პირველისა ფავლენიშვილებისადმი ნიქოზის ეკლესიის სასაფლაოს თაობაზე. იგი წერს: „ჩვენ დიაღ კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გვარისაგან ხართ გამოსულნი, მხარგრძელნი სანაინიდამ ფავნის მოსულნი და ფავნისიდამ მანდ ერედვს გასულნი და დასახლებულნი და სასაფლაოდ როგორ მოქცემიათ ნიქოზის ეკლესია ან ნიქოზის ეკლესიის ყმათ თქვენი რა ჰსდებიათ“...

მხარეში გვაქვს სხვა შემთხვევები -**ელ** სუფიქსით გვარსახელების წარმოშობისა. მიგრანტი თავის ახალ გვარს იმ სოფლის სახელზე -**ელ** ფორმატის დართვით აწარმოებდა, საიდანაც ის იყო გადმოსახ-

ლებული. ასეთი გვარებით კი შეიძლება მიგრაციის გზისა და მიგრანტთა ვინაობის განსაზღვრა. 1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთრის“ მიხედვით, მაგალითად, სოფელ ავეჯში კოხაჭელი ჩამოსულია იმერეთის სოფელ კოხაჭიდან, ჩხერელი სოფელ ჩხერედან, სოფელ ნულში „იმერელი გიორგი“ იმერეთიდან ჩამოვიდა, სოფელ წორბისში „რაჭელი თამაზა“ რაჭიდან, ღებელი გიორგი სოფელ ღებიდან, სოფელ არამგამაში — დვალელი გიორგი დვალეთიდან არის მოსული, სოფელ ოქონში ასევე რაჭელი მათია რაჭიდან მოვიდა. ასეთივე გვარსახელები გვხვდება სოფლებში ქალეთში, მწყვდელისში, მეტებში, ცხინვალში და სხვა დასახლებულ პუნქტებში. აღსანიშნავია, რომ ასეთი წარმოშობის ძველი გვარების ნაწილი დღესაც ცოცხალია.

მერაბ რობაჭიძე

აკაკი შანიძე — არმენისტი

1. აკაკი შანიძე, როგორც ფართო ერულიციის არმენისტი, აღიზარდა და ჩამოყალიბდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართული ფილოლოგიის განყოფილებაზე ნ. მარისა და ივ. ჭავახიშვილის ხელმძღვანელობით.

2. ივ. ჭავახიშვილთან ერთად ქართული არმენისტიკის დაფუძნება და განვითარება უკავშირდება აკ. შანიძის სახელს. იგი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე კითხულობდა ძველი სომხური ენის კურსს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ცნობილი ქართველი არმენისტები, მათ შორის ილია აბულაძე.

3. ა. შანიძის ნაშრომები და რეცენზიები შექება სომხური ენის ისტორიისა და სტრუქტურის, ფონეტიკის, მორფოლოგიის, დიალექტოლოგიის საკითხებს, კვლევას აწარმოებს ქართველურ-სომხური ენობრივი ურთიერთობების ჭრილში. მინიჭებული აქვს სომხეთის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მურმან სუხიშვილი

გრამატიკულ და სემანტიკურ ბრუნვათა სუბსტიტუციისათვის ქართულში

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ძველი და მომდევნო პერიოდის სალიტერატურო ქართული ენის ძეგლებშიც ზოგიერთი ზმნის შესიტყვებაში პირდაპირი ობიექტი არ გვაქვს, ზმნის ფორმა კი ამ ობიექტის მრავლობითობას აჩვენებს: „შეხედ-ნა, განიღი მ-ნა, განიცი ნ-ა, დაიზა ნ-ა და მისთ. (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ი. იმნაიშვილი, ა. კიზირია...). ამ ფაქტის გათვალისწინებით ხსნებულ და ამ რიგის ზმნათა შესიტყვებებში პირდაპირი დამატების არსებობა თითქოს უდაოს. „შეხედ ნა ზმნა პირდაპირ ობიექტად თუალ ნი სიტყვას გულისხმობს, განიღი მ ნა ზმნისათვის ალბათ ბაგენი ივარაუდება (ზ. სარჯველაძე).“

ეს საგულვებელი პირდაპირი დამატება უკვალოდ არ ქრება (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...); რიგ შემთხვევაში ის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში დასმულ უბრალო დამატებად ტრანსფორმირდება: „მოხედ ნა და იცნა ღმერთმან“ pb. რიც. 16, 5 (აბულ) — მომხედ ა თუალითა ბოროტა (ლიმ. 115, 9)...

პირდაპირი დამატების უბრალო დამატებად გარდაქმნის შემთხვევები დასტურდება სხვა ზმნებთანაც. ანალოგიური ფაქტების შექერება ასეთ სურათს გვიჩვენებს.

ა. ძველ ქართულში ერთსა და იმავე ზმნასთან შესიტყვებაში შეიძლება წარმოგვიღეს როგორც პირდაპირი დამატება, ასევე ამავე ფუძის მოქმედებითბრუნვიანი სუბსტიტუტი:

„დაჲყკნეთ მაგათ თმა და წუერი“ (ისტ. ჭრესტ. I, 162, 36)

„დაჲყკნეს იგინი თმითა და წუერითა“ (ისტ. ჭრესტ. 113, 19) (ივ. იმნაიშვილი)

ბ. შეიძლება შესიტყვებაში აღარ გვქონდეს პირდაპირი დამატება, მაგრამ საგულვებელი დამატება მოქმედებითი ბრუნვის ფორმით მოგვევლინოს: მოხედ ნა [თუალნი] > მოხედ ნა თუალითა.

გ. ზახ- ფუძიდან ნაშარმოებ ზმნათა (ზახება, დაზახება...) შესიტყვებებში პირდაპირი დამატება ძველ ქართულში არ

ჩანს: „ვითარცა ლომი იზახებდეს“. 0. ოვსე, 11, 10. თუმცა ის იგულისხმება, შდრ., „კმად ზახებისა და ლომთაც“. 0, ზაქ. 11,3 (აბულ.). სავარაუდო პირდაპირი დამატება მოგვიანო პერიოდის ქართულში დასტურდება თავისი მოქმედებითბრუნვიანი სუბსტიტუტით:

უეცრათ ესეთი საშინელი **ხეა შესძახა** (ყარამ. 164)

საზარელითა **ხმითა შესძახა** (ყარამ. 164).

დ. ძველ ქართულში ზმნურ შესიტყვებაში პირდაპირი დამატება გვაჭვს. მომდევნო პერიოდის ქართულში დასტურდება პირდაპირი დამატებისა და მოქმედებითბრუნვიანი უბრალო დამატების მონაცვლეობა: ძვ. ქართ. შეიმოსე **სამოსელი** თვის“ 0, რუთ. 3,3 (აბულ.). შდრ. „მაშინვე საომარი ტანისამოსი გაიხადა და სახელმწიფო **ტანისამოსი** შეიმოსა (ყარამ. 257). — მსწრაფლ საღამურის **ტანისამოსით** შეიმოსა (ყარამ. 258)...

დამატების გრამატიკულ და სემანტიკურ ბრუნვათა ამგვარი მონაცვლეობა მარტო ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. ასეთი ფაქტები (მაგ. რუსულში) კვალიფიცირებულია როგორც ბრალდებითი ბრუნვის გარდაქმნა მოქმედებით ბრუნვად (ა. პეშკოვსკი). პირდაპირი დამატების გარდაქმნას მოქმედებითბრუნვიან უბრალო დამატებად, ჩვენი აზრით, უფრო მეტი არგუმენტები ეძებნება.

როსტომ ფარეულიძე

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა მ. მამაქაევის რომანში „ზელიმხანი“

მოპმად მამაქაევი (1910-1973) ცნობილი ჩეჩენი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის ლექსების მრავალი კრებული და რამდენიმე რომანი, მათ შორის — „ზელიმხანი“ (1968). ზელიმხან გუშმაზუყაევი (ხარაჩოელი, მისი მშობლიური სოფლის სახელწოდების — ხორაჩ — მიხედვით) ცარიზმის წინაღმდეგ მებრძოლი ჩეჩენი აბრაგი იყო, სახალხო გმირი (დაიღუპა 1913 წელს).

ნახური ენათმეცნიერება მეტად ღარიბია ამა თუ იმ მწერლის

ენისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით.

მ. მამაქაევის დასახელებულ რომანში ფერის აღმნიშვნელი სიტყვების შესწავლა მწერლის ლექსიკის ერთ-ერთი სემანტიკური ველის გამოყოფასა და ანალიზს გულისხმობს.

„ზელიმხანში“ ქრომატულ და აქრომატულ ფერთა სახელებად დასტურდება:

1. მარტივი, უაფიქსო სახელები:

მურუა „ყვითელი“	კავ „თეთრი“
ჰარსა „ქერა, წითური“	შრუა „შავი“
მურეა „მუქი, რუხი“	ყურორზა „ჭრელი“
წაქ „წითელი“	სირლა „ნათელი“
ბბმაშა „ყავისფერი“	სირა „ნაცრისფერი“
სინა „ლურჯი, მწვანე“	

2. გამოიყოფა ორფუძიანი კომპოზიტები, როგორიცაა:

წევ-ზრუა „წითელი-შავი“

წევ-მურუა „წითელი-ყვითელი“

კავ-მურუა „თეთრი-ყვითელი“

კომპოზიტის პირველი ნაწილი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ოდნაობითი ხარისხის ფორმითაც: მაგალითად:

მურუ-ოვარან „მოყვითალო-ნაცრის (ფერი)“

მურუ-დეში „მოყვითალო-ოქროს (ფერი)“

ბბცარუ-სთიგალა „მოწვანო-ცის (ფერი)“

მურუ-ურ-სირა „მორუხო-მუქი“...

3. არის მაგალითები, როცა შედარებისათვის გამოყენებულია არსებითი სახელი **სანნა** „ვით“ თანდებულით, რომელსაც მოსდევს ფერის აღმნიშვნელი სიტყვა:

ჰარლა სანნა „შრუა „ყორანივით შავი“

ქურქაშ სანნა „შრუა „კვრინჩივით შავი“...

4. თვით ბურს „ფერი“ შეიძლება იყოს:

ოვყარა „ბურს „ნაცრის ფერი“ (შდრ. ღუყ „ნაცრი“)

ხი „ბურს „წყლის ფერი“ (შდრ. ხი „წყალი“)

სთიგალა „ბურს „ცის ფერი“ (შდრ. სთიგალ „ცა“)

დეში „ბურს „ოქროს ფერი“ (შდრ. დეში „ოქრო“)...

5. ხშირია ფერის აღმნიშვნელი სიტყვები მიმღეობურ ფორმებ-

ში, ასე, მაგალითად:

მაჯდელლა (ძუჭხ) „განაცრისფერებული (სახე)“

მაყდელლა (ჰუნ) „გაყვითლებული (ტყე)“


ყდებელლა (ქუორთა) „გაჭარაზებული (თავი)“...

ნაწარმოებში ყველაზე ხშირად გამოყენებულია შემდეგი ფერები: „შრეა „შავი“ (56-ჯერ), სინა „ლურჯი, მწვანე“ (16-ჯერ), სირლა „ნათელი“ (14-ჯერ), კად „თეთრი“ (14-ჯერ), ყუორზა „ჭრელი, ფერად-ფერადი“ (8-ჯერ) და ა. შ.

მიხეილ ქურდიანი

თით-ი სიტყვის ისტორიისათვის

აკად. აკაპი შანიძე თვლიდა, რომ ქართ. თით-ი და მეგრ.-ჭან. კით-ი ლათინური ენიდან იყო ნასესხები შემდეგი ტრანსფორმაციით:



არსებობს ამ სიტყვის სხვა ეტიმოლოგიაც, რომელიც აკად. არნ. ჩიქობავას ეკუთვნის:

„ძირეულია -თ-; მეორდება ქართულში; ჭანურში, მეგრულში მას წინ უძღვის სხვა ძირი, საფიქრებელია იგივე, რაც აკა-ში გვაქვს: აკა — ერთი (აფხაზ. აკე — ერთი : უსლარ, აბხ. კა., გვ. 141, 77); კითი-ერთი „თი-თი(?)“ (ჩიქობავა 1938 : 61).

ქარლ ჰორსტ შმიდტისთვის ამოსავალი ფორმაა კით-ი და ქართული თით-ი კითი-სგან ასიმილაციით მიღებულად მიაჩნია (შმიდტი 1962 : 114). მე ეს აზრი ანგარიშგასაწევად მეზევნება.

კით-ი რომ არც ლათინური ნასესხობაა ქართველურ ენაში და არც აფხაზურ-ქართველური კომპოზიტი, ამაზე მეტყველებს მისი რეკონსტრუქციის შესაძლებლობა საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე:

ს./ქართვ. * კით-ი
აფხაზ. ა-კ'გს „თითი“

კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობის ფონზე:

ს./ქართვ. * თ * სით : // აფხაზ. ს' სით //

სრული სახით:

ს./ქართვ.	:	აფხაზ.
* თ	:	კ'
* ი	:	გ
* სი	:	ს'

ჩვეულებრივ გვხვდება კ'გს ფორმით, მაგ.: სიტყვაში ანაც'კ'გს / მაც'კ'ს „ნეკი“ (შდრ. ანაც'კანს / მაც'კანს „ცერი“), სადაც კ'გს = თითს.

ქართველური ენებიდან და, კერძოდ, ზანურიდან უნდა იყოს ნასესხები კით-ი აქადურში. შდრ. სიტყვა კათ-უ "ხელი", რომელსაც სემიტურ ენებში არ ექვება სანდო ეტიმოლოგია. რაც შეეხება სხვაობას ქართველურსა და აქადურს შორის ძირის გახმოვანებაში, ის შეიძლება ლურსმული დამწერლობის შესაბამისი ნიშნის ამჟამად

მიიღებული მეტ-ნაკლებად საალბათო იკითხვისით აიხსნას.

ნ ა ტ ი შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

-უქმ || -უქმ, -უქმლ, -ი (ცა) ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმიზედები ჩოლურულში

სვანურში ისევე, როგორც ქართულში კითხვით სიტყვებს მიმართებითად **-უქმ, -ი** (ცა) ნაწილაკი აქცევს.

ქართულისაგან განსხვავებით სვანურში თითოეული მიმართებითი სიტყვა რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით დასტურდება: „**უქმ** ნაწილაკი შემდეგ დიალექტურ ნაირსახეობებს იძლევა: **-უქმ, -უქმ, -უქმი, -უქმ, -უქმ, -უქმ, -უქმ**“ (ნ. აბესაძე).

საინტერესო სურათს გვიჩვენებს **-უქმ || უქმ -უქმლ, -ი** ნაწილაკი ჩოლურულში. იქნება შთაბეჭდილება, რომ ამ უკანასკნელში თავმოყრილია თითქმის ოთხივე დიალექტის ვარიანტები და ამასთანავე გვხვდება თავისებური წარმოებაც.

ლაშეურის მსგავსად ჩოლურულშიც გაცილებით დიდი უპირატესობა ენიჭება **-ი** ნაწილაკიან ფორმებს:

ქნებდ ეკი მძრე, ხედ-ი || ხედუქმ || **უქმ** სეობინ ხოუოდუდახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მოუძროდათ“.

დაგუანთე ანლრის ჯოდიახენ, დარ-ი || ერუქმ ხაყახ (ჩოლ.) „გასვენებაში მოდიან შორიდან, ვინც პყავთ“.

სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით ჩოლურულში ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც **-უქმ** ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და ბრუნვის ნიშანს დაერთვის **-ი**, რომელიც ხშირად გრძელია.

საფიქრებლია, რომ ამ შემთხვევაში ეს **-ი (ცა)** ნაწილაკია და ორმაგ ნაწილაკდართულ ფორმებს ვღებულობთ, თუმცა მისი ფუნქცია **-უქმ-სთან** შედარებით შესუსტებული ჩანს, რადგან პარალელურად **-ი-ს** გარეშეც დასტურდება და მიმართებითობას სწორედ **-უქმ** ნაწილაკი ანიჭებს საკავშირებელ სიტყვებს:

ერუქმდ-ი || ერუქმდ-ი უნდევრე ლოშტ ლიტეხ, მად ათურ ეჭნებ (ჩოლ.). „ვინც გაიგო უკან დაბრუნება, რა დაკარგა იმან“.

ხედუქმდ || ხედუქმდ-ი ჩუემკლინჭე, ეჭნებ ემლორუე ჩუი (ჩოლ.) „რომელმაც გამიღიმა, იმან მომატყუა კიდეც“.

ხოლლის ხუად ხან, იმუქმდ || იმუქმდ-ი ახლელის (ჩოლ.) „ელოდე დიდხანს, რასაც ელოდი“.

-ი დაერთვის მიმართებით ზმიზედებსაც თანდებულებზე:

იმუქმდხენ || იმუქმდხენ-ი ჭეკვეს, ეჩხენ ემიქ (ჩოლ.) „საიდანაც გინდოდეს, იქიდან მომიტანე“.

იმუქმუ || იმუქმუ-ი ისგური ბაბა ჭაშგურანა, ეჭუი ჩომ (ჩოლ.) „როგორც ბაბუაშენი გარიგებდა, ისე მოიქეცი“.

ცნობილია, რომ **უქმლე** კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმინსართებს განუსაზღვრელობას ანიჭებს: **იმუქმლე** „სადღაც“, **ეგრუქმლე** „ვიღაცა“ (ვ. თოფურია), ხოლო **უქმ** ნაწილაკიანი საკავშირებელი სიტყვები განსაზღვრულია.

ჩოლურულში **უქმლე** ნაწილაკი ბოლოკიდური (ე) ხმოვნის გარეშე საკმაო სიხშირით გამოიყენება განსაზღვრულ მიმართებითან, მათი პარალელური ხმარება აღრევის შედეგი ჩანს და გვიანდელ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს.

უქმლ ნაწილაკს აღნიშნულ დიალექტში **-ი** ნაწილაკიც დაერთვის: **ეგრუქმ** || **ეგრუქმლ** || **ეგრუქმლი ჩუასდენიდ, ეჭნებ ეხულუქმნედ** (ჩოლ.) „ვინც დარჩებით, იმან მოიტანეთ“.

მაჟუქმ || **მაჟუქმლ** || **მაჟუქმლი მიხალდა, ეჭი ჩუამაშტნე** (ჩოლ.) „რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყა“.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

დილერენციული ნიშანი ლექსიკოგრაფიაში — III.

პ. დენისოვის ლექსიკონთა კლასიფიკაცია

ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ნაირგვარობამ, ლექსიკოგრაფიის არაბალნირებული თეორიული საფუძლების კვალიფიციურმა შესწავლა-დამუშავებამ, საერთო და სასკოლო ლექსიკონების შედგენის პრინციპული საკითხების სათანადო მეცნიერულმა ანალიზმა

ლოგიკური ასახვა პოვა ცნობილი მკვლევრის პ. დენისოვის მიერ აგებულ ლექსიკონთა ტიპოლოგიაში. აღნიშნულ პრობლემებს ეხება მეცნიერის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, სტატიები, მოხსენებები, პროგრამა-პროგრამული კოდები.

პ. დენისოვის განმარტებით, ლექსიკონის ტიპად გაიგება ინვარიანტი, მოდელი ანუ იდეალიზებული ლექსიკონი, რომელიც ასახავს ენის ლექსიკური სისტემის განსაზღვრულ ასპექტს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლექსიკონთა კლასიფიკაციის აგებისას მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ლექსიკონის ტიპი და უარი. კონკრეტული სალექსიკონობამოცემები, როგორც წესი, აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ნიშნებს (სუფთა ტიპის ლექსიკონები პრაქტიკულად არ არსებობს). უწინარეს ყოვლისა, გამოიყოფა ლექსიკონთა ორი ჰიპოსტასი:

- ა) პრესკრიფციული (მანორმალიზებელი, მომწერიგებელი) და
- ბ) დესკრიფციული (მაფიქსირებელი, აღწერითი).

პირველ შემთხვევაში ლექსიკონები გვევლინებიან როგორც კოდიფიკირის ინსტრუმენტები (მეტყველების კულტურის, სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისეთი ლექსიკონები, როგორიცაა: ორთოგრაფიული (მართლწერის), ორთოეპიული (მართლწარმოთქმის), აქცენტოლოგიური (მახვილის სისტორის) და სხვ.), მეორე შემთხვევაში კი ისინი წარმოადგენენ ენის ლექსიკური სისტემის ფაქტოგრაფიულ ბაზას (ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია: განმარტებითი ლექსიკონები, ლექსიკურ კატეგორიათა (ანტონიმების, ომორიზმების, სინონიმების...), ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიათა (ზმნური, სახელური, სახელშმნური, შესიტყვებების...), ლექსიკური ფენების (უცხო სიტყვების, ნეოლოგიზმების, დიალექტიზმების, ფრაზეოლოგიზმების...) და სხვა ლექსიკონები). ეს ორი ჰიპოსტასი არის ლექსიკონის სისტემის გარეგნული მახასიათებელი ანუ ექსტერნალისტური ნიშანი. გარდა ამისა, ლექსიკონს აქვს შიდა სტრუქტურული მახასიათებელი ანუ ინტერნალისტური ნიშანი. ლექსიკონის ძირითადი სტრუქტურული ერთეული არის სიტყვა-სტატია (სალექსიკონო სტატია), რომლის სტრუქტურა იდეალურ შემთხვევაში უნდა იყოს ანარეკლი სიტყვის აზრობრივი სტრუქტურისა. სიტყვა-სტატია იგება კანონზომიერებათა ერთიანი სისტემის საფუძველზე და მისი უმთავრესი მახასიათებელია ტექსტებს (სტატიის

ცალკეულ მონაკვეთებს) შორის ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი, ინდექსაციისა და დოკუმენტაციის ერთიანი სისტემა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ პ. დენისოვის შრომებმა თეორიული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის სფეროში, ასევე იმ განზოგადებებმა, რაზეც აიგო მისი ლექსიკონთა კლასიფიკაცია, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სასკოლო (სასწავლო) ლექსიკოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად ჩამოყალიბების ობიექტური საფუძვლები და სასკოლო ლექსიკონთა ტიპოლოგიის ლოგიკური განპირობებულობა.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ამოსავალ სისინა სიბილანტთა რეფლექსაციისათვის ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში

თანამედროვე ქართველურ და აფხაზურ-ადილურ (სინდურ) ენათა ფონოლოგიური სისტემები ერთმანეთისაგან სიბილანტ-თანხმოვანთა შედგენილობის თვალსაზრისითაც სხვაობენ. როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში გვაკლია შუანუნისმიერი სისინ-შიშინა სიბილანტები, რომლებიც სინდურ ენებს დღემდე შემოუნახავს. მითოთებულ ფონოლოგიურ ინვენტარში ფიქსირებული განსხვავება აისახება ბგერით მიმართებებშიც, რომელიც ქართველურ-სინდურ ძირებულ ლექსიკაში ვლინდება. კერძოდ, აქ თავს იჩენს რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა ორი ტიპი: პირველ სახეობაში გაერთიანდება ს.-ქართვ. **სისინა** (ძ ც წ ზ ს) ~ ს.-სინდ. **სისინ-შიშინა** (ძ, ც, წ, ზ, ს), ხოლო მეორე ტიპში — ს.-ქართვ. **სისინა** (ძ ც წ ზ ს) ~ ს.-სინდ. **სისინა** (ძ ც წ ზ ს) მიმართებები (იხ. ქვემოთ I და II).

სიღრმისეული რეკონსტრუქციის თვალსაზრისით ქართველურ-სინდური ბგერათშესატყვისობების ეს ორი ტიპი პროტოიბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში განსხვავებულ არქიფონებმათა პოსტულაციას არ ვარაუდობს. ორივე სახეობა მიიჩნევა ამოსავალი **სისინა** სიბილან-

ტების შემდგომ ტრანსფორმაციად საერთოქართველურსა და საერთოსინდურში; უფრო სწორად, საერთოსინდურში, ქართველურ **სისინა** სიბილანტთა შესატყვისად, **სისინ-შიშინა** თანხმოვანთა გამოჩენა ავტომატურად არ სვამს საკითხს მათი (**ძ, ც, წ, ზ, ს,**) პოსტულაციის შესახებ საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში. ვინაიდან პროტოიბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის დროინდელი **სისინ-შიშინა** სიბილანტები საერთოქართველურში მხოლოდ **შიშინა** რეფლექსების სახითაა წარმოდგენილი — ს.-იბ.-კ. *ძ, *ც, *წ, *ზ, *ს, → ს.-ქართვ. *ჭ *ჭ *ჭ *ჭ (ამის შესახებ სხვაგან გვექნება მსჯელობა).

ბგერათშესატყვისობათა ფორმულები:

I. ს.-ქართვ. **სისინა** : ს.-სინდ. **სისინ-შიშინა**

ს.-ქართვ. **ძ** ~ ს.-სინდ. **ძ**,

(1) ს.-ქართვ. *ღური-ელ- „ღვიძლი“ (ქართ. ღვიძლ-ი, ზან. ღვინ-ჭა „ღვიძლისფერი, მწიფე ხილი“, სვან. ყვიფე „ღვიძლი“) ~ ს.-სინდ. *შუაძ- „ყვითელი“ (აფხ. ა-შუაჟ, აბაზ. შუაჟ, ად. ღუაჟ, ყაბ. ღუაზ, „ყვითელი“);

(2) ს.-ქართვ. *ლაბ- „ლანძვა, მოხალვა“ (ქართ. ლანბ-ვ-ა, ზან. რუჭ-უ-ა || ლუნჭ-უ-ა „გარუჭვა“) ~ ს.-სინდ. *ტბ- „წვა, შეწვა“ (აფხ. ა-ჭ-რა, აბაზ. ჭ-რა „შეწვა“, ად. და-ბჟ-ან, ყაბ. ღე-ბჟ-ან, ყაბ. ღე-ბჟ-ან „წვა“);

(3) ს.-ქართვ. *ძელ-ელ- „ძველი, დაძველება“ (ქართ. ძველ-ი, დაძველ-ებ-ა, ზან. ჭეშ-ი „ძველი“, ო-მჭვენ-უ „დაძველება“, სვან. ჭუინ-ელ ← *ჭუელ-ინ „ძველი“) ~ ს.-სინდ. *ძ, ტბ- „ძველი“ (აფხ. ო-ჟუ, აბაზ. ჟმა, ად. ფრინგ, ყაბ. ბჟან „თხა“);

(4) ს.-ქართვ. *უარბ- „ვერძი, მამალი ცხვარი“ (ქართ. ვერბ-ი, ზან. ერჭ-ი ← *ორჭ-ი „მამალი ცხვარი“) ~ ს.-სინდ. *უბ-ან „თხა“ (აფხ. ა-ჭმა, აბაზ. ჭმა, ად. ფრინგ, ყაბ. ბჟან „თხა“);

(5) ს.-ქართვ. *ქეტალ- „მქევალი, სათესლე, ძირ-ფესვი“ (ქართ. მ-ქევალ-ი || ქევალ-ი, ზან. ჭალ-ი → || ჭალ-ი „მქევალი, სათესლე“, სვან. ჭატ- → || ჭატ- „ძირ-ფესვი“) ~ ს.-სინდ. *ქ, ტბ- „თესლი, გვარი“ (აფხ. ო-ჟულა, აბაზ. ჟულა „თესლი, გვარი“, ად. ჩელ-ა, უბის. ჭედ „თესლი“, შდრ. ურარტ. ზილიბ „თესლი; შთამომავა-

ლი“).

ს.-ქართვ. **ც** ~ ს.-სინდ. **ც**,

(1) ს.-ქართვ. *ცუილ- „ცვილი“ (ქართ. ცვილ-ი, ზან. ჩირ-ი ← *ჩვირ-ი "id", სვან. ჭუიდ ← *ჩუილ „ცვილი“) ~ ს.-სინდ. *ცუაუ- „თაფლი; თაფლის სანთელი“ (აფხ. ა-ცუა „თაფლის სანთელი“, აბაზ. ცუა „ცვილი“, ად. ს, ტუა, ყაბ. ფოტ ← *ს, ტუა, უბის. ჭუან „თაფლი“).

(2) ს.-ქართვ. *ცუხ- „ცუხი“ (ქართ. მ-ცუხ-ი || ცუხ-ი, ზან. ცუხ-ი „ფიჭის დაწურვის შემდეგ დარჩენილი სითხე/წვენი“) ~ ს.-სინდ. *ცახუ- „ცვილი, თაფლიანი ფიჭა“ (აფხ. ა-ცახ, ად. ჭაფგ ← *შახუ, ყაბ. შახუ, უბის. ცუამღა ← *ცუახა);

(3) ს.-ქართვ. *ცხამ- „ცხამი“ (ქართ. ცხამ-ი, ზან. ჩხომ-ჭაბუ „ცხიმ-წებო“, სვან. მგ-ჩხიმ „ცხიმი“) ~ ს.-სინდ. *ცხეგუ- „ნალები“ (ად. შეხეგუ, ყაბ. ჭხეგ „ნალები“);

(4) ს.-ქართვ. *ცხ- „ცივი, სიცივე“ (ქართ. ცხ-რ-ო ← *ცხ-ორ-ო, ზან. ჩხ-ურ-უ „სიცივე“, სვან. მგ-ცხ-ი „ცივი“) ~ ს.-სინდ. *ცხეგ- „სიცივე“ (ად. ჩეგთ, ყაბ. ჩეგ, უბის. ჩგ ← *ჩეგ „სიცივე“);

(5) ს.-ქართვ. *ცურ- „ცური“ (ქართ. ცურ-ი, ზან. ჩურ-ი "vulva", სვან. ჩუნჩურ (რედუბლ.) "id") ~ ს.-სინდ. *ცგ(რ)- „ცური; რქე“ (აფხ. ა-ჩრ-გვუ, აბაზ. ჩგ „ცური“, უბის. ჩა „რქე“).

ს.-ქართვ. **წ** ~ ს.-სინდ. **წ**,

(1) ს.-ქართვ. *წენწ- „ნაწლავი, წელი“ (ქართ. წენწ-ულ-ი, ზან. ჭინჭ-ა || ჭინჭ-ა „ასთურცელა“, სვან. ჭინჭ-ილ „ნაწლავი“) ~ ს.-სინდ. *წ, აწ- „თირკმელი“ (აფხ. ა-ჭაჭა, აბაზ. ჭაჭა, ად. ჭ, აჭ, გაბ. ჭ, აჭ, ად, უბის. ჭა „თირკმელი“);

(2) ს.-ქართვ. *წახ- „ტკბილ-მჟავე“ (ქართ. წმახ-ი || წმახ-ე ← *მწახ-ე, ზან. მ-ჭოხ-ა || ჭვახ- „ცხარე, მჟავე“, სვან. მგ-ჭაბუ-ი „ტკბილი“) ~ ს.-სინდ. *წ, ტაპ- „მჟავე“ (აბაზ. ჭუნქი, უბის. ძუაყ ← *ჭუაყ „მჟავე“, შდრ. ად. ს, ტაპუ-გნ ← *წ, ტაპუ-გნ, ყაბ. ღალ-ა, უბის. ჭა „თირკმელი“);

(3) ს.-ქართვ. *წიკო- „პატარა, მცირე“ (ქართ. წიკო-მაკო „წვრილმანი“, წიკუ-ე „ნამცეცა“, ზან. ჭი(რ)კუ „პატარა“, ჭიკო „ბიჭუ-

ნა“) ~ ს.-სინდ. *წეგუტ- „პატარა; ბიჭი“ (აფხ. ო-ჭეუტ-გნ, აბაზ. ჭეუტ-გნ „პატარა; ბიჭი“, ად. წეგუტ, ყაბ. წეგუტ „პატარა“);

(4) ს.-ქართვ. *წლოკ- „წიწილი“ (ქარ.(კახ.) წლოკი, ზან. ჭუკი „თაგვი“) ~ ს.-სინდ. *კუტჩ- „წიწილა“ (აფხ. ო-კუტჩ-გს — მრ. ო-კუტჩ-ტრა-ქუა, აბაზ. ჭუტჩ-გს — მრ. ქუტ-არა „წიწილა“);

(5) ს.-ქართვ. *წყილ- „ჰეყლეტა“ (ქართ. წყლეტა-ა, ზან. ო-ჰყიმ-უ „ჰეყლეტა“, სვან. ლი-მჴყენ-ე „ჰეყლეტა“) ~ ს.-სინდ. *ყუწ- „სრესა, ჰეყლეტა“ (აფხ. ო-ყუწ-რა, აბაზ. ყუწ-რა, უბის. ყუწ-ტ- „ჰეყლეტა, სრესა“);

(6) ს.-ქართვ. *წყალ- „კურკა“ (ქართ. წყალ ←*წყალ-, ზან. ჭეომ-ი ←*ჭეომ-ი „კურკა, თესლი“) ~ ს.-სინდ. *წაკ-ა „ხილის კურკა“ (ად. ბაჟჭა ←*წაკ-ა, ყაბ. ხაჟჭა ←*წაკ-ა „ბზე“, უბის. წყალ „კურკა“).

ს.-ქართვ. ჸ ~ ს.-სინდ. ჸ,

(1) ს.-ქართვ. *ზამ- „თქმა, ქმნა“ (ქართ. ზამ-/ზმ-, ზმ-ა „ქმნა, თქმა“, სვან. ჟუმ- „ხვნა“) ~ ს.-სინდ. *ზე-უ- „სიტყვა, მეტყველება“ (აფხ. ოჟუა, აბაზ. ოჟუა „სიტყვა, მეტყველება“, უბის. მახა „სიტყვა“, შდრ. ყაბ. ჟე-შა „რაიმეს თქმა“);

(2) ს.-ქართვ. *ბეზ- „კრაზანა“ (ქართ. ბზ-იკ-ი, ზან. ბაზ-ი „დიღი ბზიკი“) ~ ს.-სინდ. *ბგზ-ა „ხოჭო; ფუტკარი, კრაზანა“ (აფხ. ო-ბჟგ, აბაზ. ბგჟ, ად. ბგჟ-ძა, ყაბ. ბზეგ-ძა „ხოჭო“, შდრ. ად.-ყაბ. ბჟა „ფუტკარი“, უბის. ბზებ-ძმა „დიღი ბზიკი“);

(3) ს.-ქართვ. *ბზეკ- „აბზეკა; წვერი“ (ქართ. ბზეკ-ა, ო-ბზეკ-ილ-ი, ზან. ბჟაკ-ე „წვერი“) ~ ს.-სინდ. *(ბ)ზაკ-ა „წვერი“ (აფხ. ო-ჟაკ-ა, აბაზ. ჟაკ-ა, ად. ჟეჭა, ყაბ. ზაჟა, უბის. ჟაკა „წვერი“).

ს.-ქართვ. ს ~ ს.-სინდ. ს,

(1) ს.-ქართვ. *ას-ირ „ასი“ (ქართ. ას-ი, ზან. ოშ-ი, სვან. აშირ) ~ ს.-სინდ. *ს,უა „ასი“ (აფხ. ჟუ-კბ, აბაზ. ჟუ-კბ, ად. სა, ყაბ. სა, უბის. ჟუა „ასი“);

(2) ს.-ქართვ. *სამ- „დაკვრა“ (ქართ. სამ-აია, სვან. ჟუმ- ←*შამ-, ლი-შუმ-ე „დაკვრა მუს. ინსტრუმენტზე“) ~ ს.-სინდ. *ა-ს,უ-ა „სიმღერა“ (აფხ. ოჟუა || ს,უა, აბაზ. აჟუა „სიმღერა“);

(3) ს.-ქართვ. *ფახ- „ფასი“ (ქართ. ფახ-ი, ფახ-უნ-ი, სვან. ფახ, ნა-ფახ „საფასური“) ~ ს.-სინდ. *ს,უა „ფასი, გადახდა“ (აფხ. ო-ჭუა-რა, აბაზ. ჭუა-რა „გადახდა“, უბის. ჟუა „ფასი“);

(4) ს.-ქართვ. *ლეხ- „ლესვა; კაშკაში“ (ქართ. ლეხ-ვ-ა, ძვ. ქართ. ლეხ-ულ-ი „ელგარე, კაშკაშა“, ზან. ლახ-, ო-ლახ-ირ-უ „გალესვა, გაპრიალება“, სვან. ლახ-იპ-რ „სალესი“) ~ ს.-სინდ. *ლახ- „ნათება; ელგარე“ (აფხ. ბ-ლაშა, აბაზ. ლაშე, უბის. ჟახ, შდრ. ყაბ. თეფხ-გნ „მზის ნათება“);

(5) ს.-ქართვ. *ტეხ- „დაღლა, კვდომა“ (ქართ. ოხ- ←*ვეხ-, დაოხ-ებ-ა, ზან. გო-ფარხ-ალ-აფ-ა „კვდომა, სულის გაფრთხობა“, სვან. ფაშ-ფეშ-, მა-ფაშ „დაღლა“) ~ ს.-სინდ. *ფხ,ა(ა) „კვდომა, დაღლა“ (აფხ. ო-ფხ-რა, აბაზ. ფხ-რა „კვდომა“, ად. ფხ-გნ, ყაბ. ფხ-გნ „დაღლა“, შდრ. უბის. ფხა- სიტყვაში ფხა-ა-ხეგ- „სუნთქვა“).

II. ს.-ქართვ. **სისინა:** ს.-სინდ. **სისინა**

ს.-ქართვ. ძ ~ ს.-სინდ. ძ

(1) ს.-ქართვ. *ძახ- „ძახილა“ (ქართ. ძახ-ებ-ა, ძახ-ილ-ი, ზან. ჟოხ-ო „სახელი“, ჟოხ-ო-ნ „ეძახიან“, სვან. ჟახ-ე „სახელი“, ხ-ა-ჟე-ა „ეძახიან, ჟევია“) ~ ს.-სინდ. *ძღა- „კითხვა“ (აფხ. ო-წა-რა ←*ა-ძგა-რა, აბაზ. წშა-რა ←*ძგა-რა, უბის. ძღა- „კითხვა“);

(2) ს.-ქართვ. *ძაქ- „ძახვა; ტიკი“ (ქართ. ძახ-ვ-ა, ძეხ-ვ-ი, ზან. ჟეხ-უ-ა „ჩატენა“, სვან. ჟაქ „ტიკი“) ~ ს.-სინდ. *ძახ- „კერვა“ (აფხ. ო-ძახ-რა, აბაზ. ძახ-რა „კერვა“);

(3) ს.-ქართვ. *ძაძ-ა „ტომარა, ძაძა“ (ქართ. ძაძ-ა, ძაძ-ებ-ი, ზან. ძონძ-ი, სვან. ძაძ-რა) ~ ს.-სინდ. *ძაძ- „კერვა; ნემსი“ (აფხ. ბ-ძაძ, აბაზ. ძაძე, ად. ღეღდგ ←*ძგძე, ყაბ. ღეღდ ←*ძგძ, უბის. ღუა ←*ძრა);

ს.-ქართვ. ც ~ ს.-სინდ. ც

(1) ს.-ქართვ. *ცოლ- „ცოლი“ (ქართ. ცოლ-ი, ზან. ჩილ-ი „ცოლი“, სვან. დაჩურ „და მმისთვის“) ~ ს.-სინდ. *ა-ცალ-ა „რძალი“ (აფხ. ოცა ←*აცალ, აბაზ. ადცალა ←*აცალა „რძალი“);

(2) ს.-ქართვ. *ციც- „მწერი; ჩრჩილი“ (ქართ. ციც-ი-ნათელა, ზან. ჩიჩ-ი „ჩრჩილი“, სვან. ჩიჩ "id") ~ ს.-სინდ. *ცეც- „კოლო“ (აფხ.

ö-**ც** ←*ə-**ც**, აბაზ. **ც**;

(3) ს.-ქართვ. ***ციც**-ა „კატა“ (ქართ. **ციც**, ზან. **ციცო**, **ც** (b) „კატის შეძახილი“, სვან. **ციცუ** ←***ციცა** კატა“) ~ ს.-სინდ. ***ცაც**-ა „კვერნა, თახვი“ (აბაზ. ძგიც „თრითინა“, ად. **ცეზა** „კვერნა“, ყაბ. ძგია, უბის. **ცაც** „თახვი“);

(4) ს.-ქართვ. ***კუც**- „კვესვა, საკვესი“ (ქართ. კვეს-ა, ტალ-კვეს-ი, ზან. კვეც-უ-ა, კვეც-ი, სვან. კუც-/კუც-) ~ ს.-სინდ. ***კუც**- „ნაპერწყალი, ბრწყინვა“ (აფხ. ტ-კუციც, აბაზ. ჭუც ←*კუციც „ნაპერწყალი“, შდრ. აფხ. ზმნური ფუძე ტ-კუცეც-ედ-რა „ბრწყინვა“);

(5) ს.-ქართვ. ***ფურც**- „ფურცელი, ნაჭურჩელი“ (ქართ. ფურც-ელ-ი, ფურც-ც-ლ-ა, ზან. ფურჩ-ა, ფურჩ-ონ-უ-ა, ო-ფურჩ-ე „სიმინდის ფოთლების შესანახი აღგილი“) ~ ს.-სინდ. ***ტრც**- „ბალახი“ (ად. ტრც, ყაბ. ტრც ←*ტრც „ბალახი“, შდრ. ს.-ნახ. ***ბუც**- „ბალახი“).

ს.-ქართვ. წ ~ ს.-სინდ. წ

(1) ს.-ქართვ. ***მწერ-** „მწერი; ბუზი“ (ქართ. მწერ-ი, ზან. ჭანდ-ი || ჭანგ-ი || ← მჭავ-ი „ბუზი, მწერი“, სვან. მერ ←*მჟერ „მჟერ, ბუზი“) ~ ს.-სინდ. ***მწა**- „კალია“ (აფხ. ა-მწა, აბაზ. მაწა, ად. მაწა ←*მაწა, ყაბ. მაწა, უბის. მაწა „კალია“);

(2) ს.-ქართვ. ***წუელ-** „წველი“ (ქართ. წველ-ი || წველ-ა-მ, ზან. წვალ-, ო-წვალ-ე „საბძელი“, სვან. წუტ „ბზე“) ~ ს.-სინდ. ***წლა-** „ხე; ძელი“ (აფხ. ტ-წლა, აბაზ. წლა „ხე“, შდრ.: ჰურიტ. წარჩ., შეშა“, ურარტ. წარჩ „ხეხილი“);

(3) ს.-ქართვ. ***წით-** „წვრილი“ (ქართ.(იმერ.) წრით-ი ..გამხდარი“, ზან. ჭით-ე „წვრილი“, ჭით-არ „დაწვრილება“) ~ ს.-სინდ. ***წიპ**- „თხელი“ (აფხ. ა-პა ←*ა-წპა, აბაზ. წა ←*წპა, ად. პუწვა, ყაბ. პაპა ←*პაწა, უბის. პწა „თხელი“);

(4) ს.-ქართვ. ***წბერ-** „პრესა; გმანვა“ (ქართ. წბერ-ვ-ა „პრესით გამოწურვა“, წბერ-ი „ჭაჭის ნაწური“, სვან. ა-ჭებერ-ი „გმანვს“, ლგ-ჭებერ-ე „დაგმანული“) ~ ს.-სინდ. ***ბწ-** „დაპრესა, მოჭერა, ჭყლეტა“ (აფხ. ა-რ-ბგწ-რა, აბაზ. რ-ბწ-რა „სრესა, ჭყლეტა“, უბის. ბგწ- „მოჭერა, დაპრესა“);

(5) ს.-ქართვ. ***წოხ-** „წინათ, წუხელ“ (ქართ. წუხ-ელ, მ-წუხ-რ-ი, ზან. წოხ-ოლ-ე || წოხ-ლ-ე „წინ, წინათ“) ~ ს.-სინდ. ***წახგ-** „ლამე“ (აფხ.

ö-წხ, აბაზ. წხე, ად. ჭაშუგ ←*ჭახ-გ, ყაბ. ჭას, უბის. საგა ←*ბაგა).)

ს.-ქართვ. ჭ ~ ს.-სინდ. ჭ

(1) ს.-ქართვ. ***მ(ა)ზე** „მზე“ (ქართ. მზე, ზან. მჟა || ბჟა „მზე“, (ბ)ჟა-შხა „კვირადღე“, სვან. მგჟ || მიჟ „მზე“, მიჟ-ლადეღ „კვირადღე“) ~ ს.-სინდ. ***მ(გ)ზა** „შუქი, სხივი; ნათელი“ (აფხ. (ბზიფ.) ა-მზა „ჩირალდანი, მაშხალა“, ა-ჩიგ-მზა „სანთელი“, აბაზ. მზა „ნათურა“, ად. ბზგ „სხივი, შუქი“, ყაბ. ბზგ "id", უბის. მგჟი ←*მგჟი „ნათურა; შუქი; სანთელი“);

(2) ს.-ქართვ. ***ბზალ-** „ბზა; ბჟოლა“ (ქართ. ბზა ←*ბზალ, ზან. ბჟოლ-ი || ბჟოლ-ა „თუთა“) ~ ს.-სინდ. ***მგზა** „ფიჭვი; ტყე“ (აფხ. ა-მზა „ფიჭვი“, აბაზ. მზა-ჭუ „id“, ად. მაზგ „ტყე“, ყაბ. მაზ „id“, უბის. მგჟ, გ ←*მგჟ, გ „ეკალი“);

(3) ს.-ქართვ. ***მაზუ-** „ნეზვი, მდედრი“ (ქართ. მეზვ-ი → || ნეზვ-ი, ზან. ბოზო ←*ბოზუ-ი, ბოზო-მოთა „გოგონა“) ~ ს.-სინდ. ***ბზა** „ნეზვი, მდედრი“ (აფხ. ტ-ფა ←*ა-ბზ „მდედრი“, აბაზ. ლა-ფს ←*ლა-ბზ „ნეზვი“, ად. ბზგ, ყაბ. ბზგ, უბის. ბზა „მდედრი“);

(4) ს.-ქართვ. ***ბუზ-** „ბუზი“ (ქართ. ბუზ-ი, ზან. ბუზ-ალ-ა „ბზუილი“, სვან. ბუზ-ულ „ბუზი“) ~ ს.-სინდ. ***ბაზგ** „მწერი“ (ად. ბაძგ, ყაბ. ბაძგ || ბანძგ ←*ბაზგ „მწერი“).

ს.-ქართვ. ს ~ ს.-სინდ. ს

(1) ს.-ქართვ. ***ლას-(ა)** „რბილი, თხელი მატყლი“ (ქართ. ლას-ა „აბრეშუმის თხელი ქსელი“, სვან. ღენშ-ი ←*ღეშ-ი ←*ლაშ-ი „ნაზი, რბილი მატყლი“) ~ ს.-სინდ. ***ლას(უ)-ა** „მატყლი“ (აფხ. ტ-ლასა, აბაზ. ლასა, უბის. დაშუტ „მატყლი“);

(2) ს.-ქართვ. ***სემ-** „სვანი“ (ქართ. სე-ია ←*სმ-ია, ზან. შამ-აია „თევზის სახეობა“) ~ ს.-სინდ. ***ბგხ-ა** „თევზი“ (აფხ. ა-ფხ-გ-ძ, აბაზ. ფხ-ლაჩუა, ყაბ. ბგა ← ბზა ←*ბსა, უბის. ფსა „თევზი“, შდრ. დაღ.: ბეჟ. ბისა, ჭუნ. ბგხ „თევზი“);

(3) ს.-ქართვ. ***ნისლ-** „ნისლი; თოვლი“ (ქართ. ნისლ-ი, ზან. ნირს-ი „ნისლი“, სვან. მუსუ ←*მისუ ←*მისლ- „თოვლი“) ~ ს.-სინდ. ***უას(გ)** „თოვლი“ (აფხ. ა-ხე, აბაზ. ხე, ად. უასე, ყაბ. უასე „თოვლი“, შდრ. ად. ყაბ. ჭაე-ხე-ნ, აბაზ. ჭა-ხ-რ „თოვლა“);

(4) ს.-ქართვ. ***ფიხ-ე** „ფისი“ (ქართ. ფიხ-ი „წიწვოვანი მცენა-

რეგბის წებოვანი წვენი“, ზან. ფირხა ←*ფიხა „ფისი“, სვან. ფისე „id“) ~ ს.-სინდ. *მხა „აბედი“ (აფხ. ა-ჩიგ-მხა, აბაზ. ჩიგ-მხა, უბიხ. ფა-მხა „აბედი“);

(5) ს.-ქართვ. *გერხ-ალ- „ჭარი; ბალანი“ (ქართ. გერხლი „გინგლი, თმა“, ზან. ქარშ-, შდრ. ქართ. (← ზან.) ქარშ-იკ-ი, სვან. გარტაშა ←*გერგ-შუ-ა „ჭარი“) ~ ს.-სინდ. *ქასუ- „ფაფარი“ (აფხ. ა-ქურშ „თმის გვირგვინი თავზე“, ად. საქუ, ყაბ. სოქუ „ფაფარი“).

ა ლ ე ქ ს ი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი

საქართველოს ისტორიის ერთი პარალოგები

საქართველოს ისტორიის ფუძემდებელი ლეონტი მროველი წერს: როცა ქართლოსის ცოლი შვილებს სამფლობელოებს ურიგებდა „ხოლო კახოსს (ხაზგასმები აქაც და ქვემოთაც ჩემია, ა.ჭ.) მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი. მისცა ეგრითვან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა და მტკუარს შუა, ხოლო კახოსს კაგვასისასა და კახეთის მთას შორის არაგვითვან ვიდრე ტყე-ტბად-მდე“. ეს არის მარიამ დედოფლისეული ნუსხის ტექსტი, უფრო ვრცლად დამოწმებული და გაანალიზებული აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ (1, 36-37). ცხადია, ნუსხაში მექანიკური შეცდომაა, რომ ორ-ჭერვე იკითხება კახოსს მისცა, მაგრამ ენობრივი ტრადიციის მიხედვით, სახელთა თუ ტოპონიმთა ნებისმიერ ჩამონათვალში მათი თან-მიმდევრობა ასეთია: კახოსი, კუხოსი, ჰეროსი; კახეთი, კუხეთი, ჰერეთი ან — კახეთ-კუხეთ-ჰერეთი. ამიტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდომა იმან დაუშვა, ვინც მროველის ტექსტი ვითომ გაასწორა და პირველი „კა ხ ი ს ს მისცა“-ს მაგიერ დაწერა „კუ ხ ი ს ს მისცა“, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე კომპოზიტების განხილვისას წერს: „არის რიგი სახელებისა, სადაც ფუძე მარტივად კი არ მეორდება,

არამედ ამასთანავე ერთად ხმოვანიც იცვლება ერთ-ერთ ნაწილში (ჩვეულებრივ მეორეში). ამას გარდა ცვლილება შეიძლება რამდენად-მე სიტყვის მნიშვნელობასაც შეეხმა: გაორკეცებული ფუძე იხმარება სიმრავლის აღსანიშნავად (გორ - გური - გორები) ან დამცრობის გამოსახატავად (მაგ. „ბიჭ-ბუჭები“ აგდებით ლაპარაკისას ითქმის) და სხვ.“ (2, გ183.). იქვე მეცნიერი იმოწმებს სათანადო მაგალითებს: ახალ-უხალი, ბალახ-ბულახი, ძახილ-ძუხილი, ნახრაგ-ნუხრავი, ნაყარ-ნუყარი, რამე-რუმე, ჯაგ-ჯუგი, ღავ-ღუვი, ტყლაპ-ტყლუპი, პანტა-პუნტით, ბაჭი;ბუჭი. საინტერესო სიტყვებია: მათ უდავოდ აქვთ გარკვეული შინაარსი, რაც პირველი, ძირითადი სიტყვის შინაარსის დამამცრობელმა მეორე ნაწილმა შესძინა ამ კოპოზიცის. არადა ცალკე აღებული ეს მეორე ნაწილი (— ძუხილი, — ნუხრავი, — ნუყარი, — ჯუგი... ყოველგვარი შინაარსისაგან დაცლილია.

მაგონდება ამ ყაიდის სხვა კომპოზიტები და მათ შორის **კახეთ-კუხეთი**. „ქართლის ცხოვრებისათვის“ დართულ ლექსიკონში წაიკითხავთ: „**კუხოსი** — ეთნარქი“, „**უფლისი** — ეთნარქი“, „**ოძრჯოსი** — ეთნარქი“... ეთნარქს ეთნოსი უნდა ჰყავდეს. არ არსებობს ეთნოსი კუხნი“ ან „კუხები“, არ არსებობს კუხური კილო, კუხური ღვინო, საერთოდ არ არსებობენ „კუხები“ და არც არაფერი კუხური არსებობს, მაშ ვისი ეთნარქია კუხოსი? დამტკიცებულია, რომ **ოძრჯე** ←*ორ ძიქე („ორი ციხე“) (3). განა შეიძლება აქ ეთნარქზე საუბარი? ირკვევა, რომ **კახეთ-კუხეთი** ზემოთ განხილულთა მსგავსი, ხმონის შეცვლით გაორმაგებული კომპოზიტ-ტოპონიმია და ეწოდება კახეთს უკიდურეს აღმოსავლეთ სასაზღვრო ზოლში არსებული რეგიონებითურთ, რომელთა ფართობი ხან იმატებდა და ხან იკლებდა.

ესე იყო თუ ისე, ფუძე ტერმინი „კუხეთი“ ძველ ნარატიულ ძეგლებში (ლეონტი მროველისა, ჯუანშერისა, „ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს უცნობი ავტორისა) ყოველთვის გულისხმობდა კახეთის აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლს. იი ასეთი ზოგი ცნობა: „[მირიანმა] მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კა ხ ე თ ი და კუ ხ ე თ ი (დაყოფა ჩემია, ა. ჭ.) და დასუა იგი უკარმას“ (4, 70,20-71,1); „[გაქარმა] მაშინდა მიიყვანნა მძისწულნი მისნი და მისცა **კუხეთი** და დასხნა რუსთავს ერისთავად“ (იქვე, 131); „[ფარნავაზმა] გაგზავნა მეორე კახეთსა ერისთავად და მისცა არაგვთვან ვიდრე ჰე-

რეთამდე, რომელ არს **კახეთი** და **კუხეთი**“ (იქვე, 24). NB: ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ ერისთავი კახეთისაა, მაგრამ საერისთავო „კახეთი და კუხეთი“ ანუ „კახეთ-კუხეთი“. „[ვახტანგ გორგასალმა დაბის] დაადგა გვრგვინი და დაუტევა მეფედ, და დაუტევნა მისთანა შვდნი წარჩინებული მისნი: ...და დემეტრე ერისთავი **კახეთისა** და **კუხეთისა**“ (იქვე. 185); „ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან ჩევისა, მირიანის ძისა და აქუნდა ამთ კუხეთი და ცხოვნდებოდეს **რუსთავეს ციხე-ქალაქსა**“ (იქვე, 159).

მროველისგან დაწერილი „კახოსს მისცა“ რომ „კუხოსს მისცა“-დ გადაკეთდა, კახოსის სამფლობელოც „კუხეთ“-ად გამოცხადდა თავის ბოსტან-ქალაქ-რუსთავიანად, ერთი სიტყვით, კახოსის სამფლობელო კუხოსს გადაცა, კუხოსისა — კახოსს. ასეთი დაყოფა აისახა ვახუშტი ბატონიშვილის ფუნდამენტურ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში და მას შემდევ მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებში.

1945 წელს გამოჩნდა მოყვარული ისტორიკოსი, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, ლაგოდებში მცხოვრები მაჩხანელი ნიკო ნადირაშვილი, რომელმაც თბილისში მცხოვრებ მის ნაცნობ სწავლულებს — თავის ძმისწულს, რუსთველოლოგ გიორგი ნადირაძეს (ნადირაშვილს), მწერლებს და მეცნიერებს: სანდრო შანშიაშვილს, სიკო ფაშალიშვილს, იოსებ იმედაშვილს და სხვებს წარუდგინა თავისი ისტორიულ-ფილოლოგიური ხელნაწერი ნარკვევი სათაურით: „ზოგიერთი შეცდომები ჩემს ისტორიულ და საისტორიო გეოგრაფიულ მწერლობაში და რუსთველის ვინაობა-სადაურობა“.

სხვა ფრიად საინტერესო შენიშვნებს რომ თავი დავანებოთ, გამოკვლევის ავტორი, როგორც თვითმხილველი და საისტორიო წყაროების რიგიანად მცოდნე, მკითხველს სთავაზობდა უნიკალურ ცნობებს: ჰერეთში, ახლანდელი სანიგილოს სოფ. ფაშანის მახლობლად, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე არსებობდა ყარაიაზის რუსთავ-ზე უფრო ძველი და სახელგანთქმული ციხე-ქალაქი ბოსტან-ქალაქ-რუსთავი ნაგები, იგივე თამარ-მეფის საზამთრო რეზიდენცია არაბი მწერლები დურ-დურია-ს (resp. დურ-დუნია-ს) უწოდებდნენ. 6. ნადირაშვილი არგუმენ-

ტირებულად ამტკიცებდა, რომ ლეონტი მროველი კუსეთს და ბოსტან-ქალაქ-რუსთავის ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მოაზრებდა, რომ მროველის ტექსტი ჯერ გადამწერებდა, და მახინჯეს, რომ მდინარე **გვრი** სწორედ ჰერეთში (resp. საინგილოში) ერთვის ალაზანს და მისი ამოღება მროველის ტექსტიდან შეცდომა იყო.

6. ნადირაშვილი კუხეთის სხვა ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ჩამოთვლით ამტკიცებდა, რომ ვახუშტი კარგად არ იცნობდა ამ რეგიონს, რომ იგ. ჯავახიშვილ-საც ამის გამო რაღაცები ეშლებოდა და სხვ.

ივ. ჯავახიშვილი, სამწუხაროდ, 6. ნადირაშვილის გამოკვლევას არ იცნობდა (გარდაიცვალა 1940 წ.), ხოლო სხვა ცნობილი ისტორიკოსები, ვისაც რედაქციები სარეცენზიონ უგზავნიდნენ ამ ნაშრომს, არცთუ სათანადოდ არგუმენტირებულ უარყოფით დასკვნებს უწერდნენ.

როგორც გვიანდელი პრესიდან გახდა ცნობილი, ეს ნაშრომი აკად. სიმონ ჯანაშიას წაუკითხვინებია 6. ნადირაშვილისთვის საქართველოს მეცნ. აკადემიაში, თვრამეტკაციანი სამეცნიერო ექსპედიციაც გაუგზავნია გამოკვლევის ავტორის მეგზურობით, მაგრამ სწორედ იმ ხანებში ბატონი სიმონი ავაღმყოფობდა და სულ მაღლე (1947 წ.) გარდაიცვალა კიდეც, არსად ჩანს ამ ექსპედიციის მუშაობის ანგარიში.

6. ნადირაშვილი თავისი მართალი ისტყვის გახმოვანებას სიცოცხლეში ვერ ეღირსა (გარდაიცვალა 1953 წ.).

უწერ. „ცისკრის“ 1976 წლის მეთორმეტე ნომერში პროფ. თ. კვნჭილაშვილმა გამოაქვეყნა წერილი — „შოთა რუსთაველის ვინაობისა და სადაურობის ერთი უცნობი მოსაზრება (ნიკო ნადირაშვილის რუსთველოლოგიური ძიება)“ (5), სადაც აღნიშნული გამოკვლევის შინაარსია გადმოცემული ნაშრომის ღირსებების აღმნიშვნელი კომენტარებითურთ. ამავე მეცნიერის რედაქტორობით „საბჭოთა საქართველომ“ და ბოლოსიტყვაობით 1978 წ. გამოსცა წიგნი — „6. ნადირაშვილის ვინაობა-სადაურობის საკითხი“ (6). მკითხველის ყურადღებას მიგაბყრობ ხელნაწერი ნაშრომის ავტორი-

სეულ ზემოთ დამოწმებულ სათაურსა და ამ ნაბეჭდი ტექსტების სათაურებზე. ამ უკანასკნელთ აშკარად ეტყობათ ისტორიკოსთა წერის კვალი. არადა პირადად ჩემთვის ფასეულია ის, რასაც ავტორი მროველის ტექსტის ნებსით თუ უნებლიერ შეცდომებზე წერს; რაც შეეხბა ვეფხისტყაოსნის ავტორს, ნ. ნადირაშვილთან ერთად მეც მწამს, რომ ის ბრძანდებოდა ჰერეთის მკვიდრი. რაც შეეხბა ფსევდონიმს **რუსთველი**, არ არის გამორიცხული, რომ იგი პოეტს ეკუთვნოდეს მით უმეტეს, რომ ვეფხისტყაოსნის „დასაწყისის“ უნიჭო ინტერპოლატორიც ამ ფსევდონიმით გვაცნობს თავს („მე, რუსთველი ხელობითა...“). ამ საკითხებზე სხვაგან გვაქვს და კიდევაც გვექნება საუბარი.

P. S. თუ ვინმე ფიქრობდა ან ფიქრობს, რომ ნ. ნადირაშვილის მიერ შემჩნეული აშკარა შეცდომების გამომზეურებით ჩრდილს მივაყენებთ დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს, ძალიან ცდება და იმასაც შევახსნებ, რომ ჩვენი ისტორიის პატრიარქ ლეონტი მროველს მისი თხზულების თვითნებური სწორებებით უკვე მივაყენეთ ჩრდილი, ხოლო ნ. ნადირაშვილის სამართლიანი შენიშვნების იგნორირებით საერთოდ ვარგავთ ამ პატიოსანი მოქალაქისა და მეცნიერის სახელს; ხსენებული ექსპედიციის შედეგების მიჩუმათებით კი ამ ექსპედიციის ინიციატორის დიდი მეცნიერის სიმონ ჯანაშიას სახელს ვაყენებთ ჩრდილს, ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ გაშუქების ნაცვლად ვაბუნდოვანებთ ჩვენი ისტორიის ისედაც მწირ ნარატიულ ძეგლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1948 წ.
2. აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953 წ.
3. ალ. ჭინჭარაული, ტოპონიმ ოძრებს ეტიმოლოგიისათვის, უურნ. „საქართველო“, ტ. I, 1998 წ.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ.
5. უურნ. „ცისქარი“, №12, 1976 წ.
6. ნიკო ნადირაშვილი, რუსთველის ვინაობა-სადაურობის საკითხი, 1978 წ.

ნინელი ჭოხანელიძე

ფერთა სახელები რ. ინანიშვილის ენაში

რ. ინანიშვილის მხატვრული ენის ფერთა პალიტრა მრავალფეროვანია. იგი მხატვრული სახის შესაქმნელად ფერთა გამოხატვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს. ენისათვის დამახასიათებელი ფერის ძირითადი სახელების (**თერთი, შავი, წითელი, მწვანე, ლურჯი...**) გარდა მწერალი იყენებს: 1. ფერის აღმნიშვნელ სიტყვებისაგან ნაწარმოებ ოდნაობისა და აბსტრაქტულ სახელებს, ასევე ზმნურ ფორმებს, მიმღებებს, ზმნისართებს. მაგ. **მონაცრისფრო, მორუხო, მოყავისფრო, მოყომრალო, მოწითალო, მომწითურო; სიმწვანე, სილურჯე, სირუხე, სიწითლე;** გადააშავებს, გადაათეთრებს, განაცრისფერდება, ჩა||შეუვითლდება, ა/გაწითლდება; ჩათეთრებული, ჩაშავებული, ჩალურჯებული; ვარდისფრად, სადაფისფრად, ფოლადისფრად, სანთლისფრად.

2. მიმართავს რთულფუძიან ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლებიც შედგება რამე ფერის (ძირითადად მცენარეების, მინერალების, ლითონების, ბუნების მოვლენების, კვების პროდუქტების და სხვ.). აღმნიშვნელი საგნისა და ფერ-სახელებისაგან. მაგ., **ბალახისფერი, ვარდისფერი, იასამნისფერი, იისფერი, ნარინჯისფერი, სალათისფერი, ტყის სატაცურისფერი, დარიჩინისფერი, შვინდისფერი; ვერცხლისფერი, კალისფერი, ლალისფერი, ოქროსფერი, ქარვისფერი, ტყვიისფერი, ფოლადისფერი, შაბაამნისფერი, უანგისფერი, მტუტისფერი; შოკოლადისფერი, წყლისფერი, ლვინისფერი; მიწისფერი, თიხისფერი, რიყისქვისფერი, ნესტისფერი, ჯანდისფერი...**

3. ფერთა გაღმოსაცემად მწერალს გამოყენებული აქვს ფუქსიანებული, ტოლადშერწყმული, ასევე განსაზღვრებითი კომპოზიტები. მაგ. **შავ-შავი, ლურჯ-ლურჯი, ბროლა-ბროლა; შავ-უვითელი, მომწვანო-მოყვითალო, მომწვანო-მოლურჯო; უვითელნისკარტა, წითელსახურავიანი, შავადმიმხმარი და სხვ.**

4. ფერის დასაზუსტებლად იყენებს (რთულფუძიან ზედართავებს. მაგ. **ცოტა ლვინისფერი, მთლად სანთლისფერი, სულ წმინდა**

სანთლისფერი, მქრქალი ცისფერი.

5. მწერალი ფერის გაძლიერების მიზნით მიმართავს მის შესაბამის საგანთან შედარებასაც. **კომშებივით** იყვნენ **დაყვითლებული** და **დაბუსუსებული** ციებისაგან ჩვენებურები (ტ. I, 15,4); რის გაკაწრული, კაცო **ლილაში გავლებულივით** იყო **დალურჯებული** (ალერს. 263, ქვ. 4); **თეთრი, სპეტაკი წვერი** ჰქონდა, **თითქოს ბამბის ფთილა** ამოუკრავთ შოკოლადისფერ ყბებზე და ნიკაპზე (შორი 180,5); **კალააყრილი სინივით აჭრელებული** მთვარე ქედის ზურგს ეფინება (მეგობ. 116, ქვ. 1).

6. დასტურდება რ. ინანიშვილის მიერ შექმნილი ფერის აღმნიშვნელი ახალი ლექსიკური ერთეულებიც, მაგ. **დამშკნარი ბალანისფერი**, იასამნის **მტვრისფერი**, **ტყის სატაცურისფერი**, **კალისფერი**, **ჭანლისფერი**; **ნესტისფერი**, **ჩრდილისფერი**, **მტუტისფერი**, **მკვდრის მზედაფენილი ლოდებისფერი**, **რიყისქვისფერი**, **მაგრად მოხარშული კვერცხისგულისფერი**, **ბეღურასფერი**.

7. რ. ინანიშვილის ენაში მხატვრული სინამდვილის სიტუაციის აღწერის მიხედვით შეიძლება ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ფერით იყოს წარმოდგენილი, მაგ. **თვალები** შეიძლება იყოს **ბალანის-ფერი**, **დამშკნარი ბალანისფერი**, **ცისფერი**, **წყლისფერი**... სხვადასხვა საგანი კი ერთი და იმავე ფერისა იყოს. მაგ. **უანგისფერი** გვხვდება შემდეგ შემთხვევებში. ვცდილობ, გავარჩიო, რას ეჩურჩულება **უანგისფერ ქვას** თავდახრილი ყვითელი შელგა (კეთ. 28, ქვ. 2); **უანგისფერი ინდაურების** ფარა, უკან მიყოლილი **უანგისფერივე ქალიც** (ასული 159,11).

ნინო ხახიაშვილი

სიტყვა მზესთან დაკავშირებულ სახელთა სემანტიკური ანალიზი

შეე თავისი ძირითადი თვისებების (ნათება — ბრწყინვალება — სხივსნობის, მოძრაობის...) და გარეგანი გამოსახულების (ფორმის) მიხედვით უნივერსალიების სახით ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა ხალხთა ენაში, მითოსსა და სიმბოლურ ორნამენტებში (მბრუნავი ჯვარი, ბორჯლალი... მზის ცხოველები: ცხენი, ირემი, ლომი...). ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ძიების საგანი.

ჭართული ენის მონაცემების მიხედვით საინტერესო სურათი იშლება **მზისა** და მისგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულთა თუ იდიომთა სემანტიკის (როგორც ორიგინალური წარმოდგენა-შეხედულებების, ისე სხვა ენებთან ტიპოლოგიური მსგავსების) თვალსაზრისით: მზე — მნათობი: სინათლის, მოძრაობისა და სიცოცხლის წყარო (საპირისპიროდ: **მზის დაბნელება**, **მზის დაღვომა** და ა. შ. — სიკვდილის მაცნე); მზე — თვალი: ხედვის, შემეცნების, ცოდნის წყარო; მზე — ღროვისა, სივრცის ამსახველ ლექსიკაში (**მზებუდობა**, **მზებდანებანი** (თუშ.), **მზეგაღენა** (ხევს.), **ზისწვერნა** (აჭარ.)... სამზეო, **მზისქეშეთი**, **მზგარე**...); მზე — ამინდის ამსახველ ლექსიკაში (**მზეავდარა** (რაჭ.), **მზეკარა** (ქართლ.), **მზე პირს იბანს**...); მზე — სილამაზის წყარო (**მზისადარი**, **მზეჭაბუკი**, **მზეთუნახავი**, **მზეკაბანი**...); მზე — გრძნობის, სიხარულისა თუ მწუხარების ამსახველ გამონათქვამებში (**მზე (და მთვარე)** ამოსდის ვანმეზე; **პირს მზე დაეფინება** (ხევს.); **მზე წითლად უდგების**, **მზის უკულმ ჩავდომა** (ხევს.)...); მზისკენ სწრათვა (მზე — დენდრონიმებსა და ზონიმებში: **მზემაქცია** (იმერ.), **მზესუმზირა**, **მზეწვია**, **მზეგალა** (ხევს.)...); მზე — ღვთაება: ფიცილისა და წყევლის ფორმულები; მზე — ქრისტიანულ რელიგიაში და ა. შ.

მოხსენებაში განხილულია სიტყვა **მზე** და მისგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები და იდიომური თქმები, მათი სემანტიკური ცვლილებებითა და გადასვლებით.

ნინო ჯორგენაძე

თანხმოვანზე დაბოლოებული ორი საკუთარი სახელის (უშანგი, ეთერი) ბრუნების შესახებ ქართულში

ქართული ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის მიერ უმართებულოდ არის მიჩნეული თანხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელების ამგვარად ნაწარმოები ფორმები: ლევანიძე, ვახტანგიძე, ნოდარიძე; ლევანის, ვახტანგის, ნოდარის (მიცემითი ბრუნვა); ლევანი! ვახტანგი! ნოდარი! და ა. შ.

ასეთი წარმოება დიალექტებსა თუ სასაუბრო მეტყველებაში უფრო გავრცელებული, თუმცა აქა-იქ პრესის ენაშიც იჩენს თავს.

რასაკვირველია, აღნიშნული ფორმების სიმცდარეში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ამ ფაქტის გათანაბრება მიუღებელ, ხშირად უცხო ენების მიერ თავსმოხვეულ მოვლენებთან (როგორებიცაა, მაგალითად: ზმინიშინთა აღრევის შემთხვევები: ბოლიში მოიხადა; ან ინგლისური ენის გავლენით ბოლო დროს გავრცელებული კონსტრუქციები, როდესაც ამოვარდნილია არ ნაწილაკი; ამის გამო ხშირად წინადადების შინაარსის გაბუნდოვანებაც კი ხდება: არაფერს, შეიძლება ითქვას, გაკეთებდი) სწორი არ უნდა იყოს. აღნიშნული ტიპის ფორმათა შეფასებისას არაენობრივი ფაქტორი იჩენს თავს: ასეთი შემთხვევებს დიალექტურ, უმეტესად ნაკლებად წიგნიერ პირთა მეტყველებაში ვეგდებით და ის მკვეთრად უპირისპირდება სალიტერატურო დარბასისლურ ქართულს. არადა, დიალექტებში ბევრი ისეთი ენის განვითარების შინაგანი ტენდენციით გამოწვეული ფაქტი იჩენს თავს, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება და რომლებიც ძალიან საინტერესო სურათს იძლევიან შემდგომი კვლევის თვალსაზრისით.

ჩვენ, რასაკვირველია, არ მოვითხოვთ ყველა ამ ტიპის სახელის ხმოვანფუძიანი ვარიანტის დაკანონებას, მაგრამ მიდგომა მათ მიმართ კი უნდა შეიცვალოს. აღნიშნული მოვლენა მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი; ის გვიჩვენებს, რომ ენა მიმართავს უნიფიკაციის გზას: ერთი მხრივ, საზოგადო სახელებში უარყოფილ იქნას -ოზე დაბოლოებული ფორმები (ხდება მათი თანხმოვანფუძიანებში გადა-

სვლა); ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი (უმეტესად ადამიანის) სახელები მხოლოდ ხმოვანზე დამთავრდეს. სწორედ იმ უკანასკნელი ტენდენციის გამოვლინებაა ლევანიძე, ლევანი! და მისთანა წარმოება, რაც ცალკეულ პირთა მიერ გრამატიკის უცოდინრობის ან სხვა ფორმებთან უბრალო ანალოგიის კი არა, ენის სისტემატიზაციისაკენ მიღრეკილების (შესაბამისად, განვითარების) შედეგი უფროა.

ორი შემთხვევა კი (რომელიც, ივ. გიგინეიშვილს აქვს ქერ კიდევ მითითებული თავის წერილში, ზემოთ აღნიშნული ენობრივი ნორმის მიღებას რომ დაედო საფუძვლად) შეიძლება დაშვებულ იქნას სალიტერატურო ქართულშიც. მხედველობაში გვაქვს **უშანგი, ეთერი**, ფორმების ხმოვანფუძიანად (-ოზე დაბოლოებულად) ქცევის შემთხვევა. პირველის -ის გარეშე ბრუნების ფაქტები (უშანგა, უშანგ!) თითქმის აღარ დასტურდება თანამედროვე ქართულში; რაც შეეხება მეორე ფორმას, აქ ამას გარდა (რომ უმეტესად იხმარება ფორმის ფორმი) ვარიანტები), -ი ხმოვნის გარეშე ბრუნებისას მისი საზოგადო ფორმი (**სატელევიზიო ფორმები** საუბარი) ფორმასთან დამთხვევა ხდება. ენა კი ამგვარ ომონიმიას გაურბის და ცდილობს გამოსავლის პოვნას. სწორედ ამის შედეგია **ფორმი-მ, ფორმი-ს, ეთერი!** (როდესაც ადამიანის საკუთარ სახელზეა საუბარი) ტიპის წარმოების გაჩენის ფაქტი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ორი ფორმის (**ფორმი, უშანგი**) -ოფუძიანად ქცევის ტენდენციას.

„კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველება და მისი მიმართება ზემოსვანურ დიალექტებთან“ (საქართველოს სამეცნიერო ფონდის № 104 გრანტი)

ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

ას წელს გადაცილებულ კოდორელ სვანთა მეტყველების ლინგვიკულტუროლოგიური შესწავლის შედეგები და მათი მიმართება უნგურის ხეობის მოსახლეობის მეტყველებასთან

I

კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველების ლინგვიკულტუროლოგიური თვალისაზრისით შესწავლისას ჩვენი საგანგებო ყურადღება მიიქციეს საუკუნოვანმა უხუცესებმა: მინა ქოჩქიანმა-ჯაჭვლიანისამ (104 წლისა) და არეთა (დიანოზ) ფარჯველიანმა (103 წლისა), რომელიც დაბადებული არიან ზემო სვანეთში — პირველი მათგანი ბალს ზემოთ, სოფელ მულახში, ხოლო მეორე — წარმომობით ლატალელია, მაგრამ დაბადებულ-გაზრდილია ბალს ქვემოთ, სოფელ ეცერსა (ჰებული) და ბექიში. მათ მეტყველებასთან შეპირისპირებულად ვუკვირდებოდით 101 წლის ნაკრელი (ბქ.). ქალბატონის ნატალია გვარმიანი-სუბელიანის ენას. გარდა ამისა, მოვიშველიეთ: აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, მაქსიმე ქალდიანისა და მერი გუჯეჭიანის მიერ თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი უხუცესი (ხ-ო-შ-გ-იშა ხ-ო-შ-ა < „ხ-უ-ც-ე-ს-ის ხ-უ-ც-ე-ს-ი“) მთქმელების პუბლიცირებული ტექსტები. ესენი იყვნენ:

ბალსზემოელები

მარინო ფალიანი (120 წლისა, ლენჯერი), ქუბა ხვინთელანი (110 წლისა, ლატალი), გუჩა ფილფანი (110 წლისა, ლენჯერი), გრიგოლ ქურდიანი (98 წლისა, მულახი);

ბალსქვემოელები

ნიკოლოზ ბაკელიანი (109 წლისა, ეცერი), ნიკოლოზ ხორგუანი (104 წლისა, ბექი), ქექევ ქობალია (99 წლისა, ლახამულა), მა-

ჰარბე ცინდელიანი (98 წლისა, ჩუბეხევი), შემხურ გადრანი (96 წლისა, ფარი).

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ კოდორის (resp. დალის) ხეობის სოფელ ომარიშალში მცხოვრები მინა ქოჩქიანი-ჯაჭვლიანის მეტყველებას, რომლისთვისაც, ძირითადად, დამახასიათებელია სვანური ენის ბალსზემომური დიალექტის სპეციფიკური მორფონოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი და ლექსიკა. წინასწარვე უნდა განვაცხადოთ, რომ მისი მეტყველება გამოირჩევა სტაბილური გრამატიკული ფორმებისა და გამონათქვამების არქაულობით და არა ინტერფერენციული მოვლენებით, რაც ასე ახასიათებს ზემოსვანურ მეტყველებას კოდორის ხეობაში, განსხვავებით ენგურის ხეობისაგან.

კოტლ / კოწლ / კოჭლ („პატარა, მცირე“) ვარიანტთაგან 104 წლის ქალბატონი მხოლოდ პირველ მათგანს, ჩვენი აზრით, შედარებით არქაულს, იყენებს; სწორედ ის უნდა იყოს ამოსავალი დანარჩენ ფორმათათვის (შდრ. იმერ. კოტ-ო, ხევს. კოტ-ორ-ა, თუშ. კოტ-ორ-ა-ც-ი, ინგილ. კოტ-ა, ქართლ. კოტ-აკ-ი, ივ. ქ. კოტ-აკ-ი, კოტ-ორ-ი) და არა პირიქით, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე) მითითებული.

კოდორის ხეობის მოსახლეობას ახასიათებს არა მხოლოდ მთელი სვანურისათვის სპეციფიკური ლიამარცვლოვანი სტრუქტურების დახურულმარცვლოვანებად გარდაქმნის ტენდენცია აუსლაუტში, არამედ ფონემათა გაუჩინარება ინლაუტებშიც: **ხუ-ი-დაშ-დატ-ს < ხუ-ი-დაშ-გ-დატ-ს „ვიცვამდი < ვიდებდი“, დოს-დ < დოსგ-დ** (შდრ. ბზ. დოსგ) „აღრე“, **ხ-ო-სდ-ა < ხ-ო-სგდ-ა „ვუყურებ, ვხედავ“**. ეს უკანასნეელი შეიძლება გავიაზროთ როგორც ზოგადი აშშოო, სტატიკური მნიშვნელობის ზმნა („დანახული, წარმოდგენილი მყის / მაქვს“), სადაც **-ა** სწორედ სტატიკურობის მაჩვენებელი (და არა მწკრივის ნიშანი — ალ. ონიანი) უნდა იყოს ისე, როგორც სხვა ზმნებში (**ხ-ა-ყ-ა „ჰყავს“, ხ-ა-შ-ა „შურს“, ხ-ო-ცხ-ა „ურჩევნია“, ხ-ო-ჰ-ა „უყრია“, ...**) და უნდა მომდინარეობდეს სვანურ ენაში ძალზე გავრცელებული **-ალ** თემატური სუფიქსისაგან (შდრ. **ხ-ო-ხ-ალ || ხ-ო-ხ-ა „იცის, ჰეონია“**). იქაც, სადაც ამგვარ გარდაუვალ ზმნებთან დღეს არა გვაქვს **-ა**, უნდა ვივარაუდოთ, რომ იყო (შდრ. ზს., ლშხ. **ხ-ა-გუნ-ებ**, ერთი მხრივ, და ლნტ. **ხ-ა-გონ-აუ-ა**, მეორე მხრივ, —

„დარღობს“). მინა ქოჩქიანთან დაილგში ჩანს, რომ **ხ-ო-სდ-ი** (**ხ-ო-სგდ-ი**) გარდამავალი ზმინს კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი აწყვია (ცუცურებ მე მას“), ხოლო **ხ-ო-სდ-ა** სტატიკურობას გახაზავს.

უმლაუტი, როგორც მორფონოლოგიური მოვლენა, სვანური ენის მთელ სისტემას გაჰყვება და ორაერთ ძირეულ გარღაქმნას იწვევს. ის დინამიკური პროცესია და ოდენ პალატალიზაციით არ შემოიფარგლება. დელაბიალიზაცია მისი თანამდევი ფაქტორია, როცა საქმე ეხება **ო** და **უ** ხმოვნების შედეგად მიღებულ **უ** და **უ** ბეგრათკომპლექსებს. ბუნებრივია, ენა ცდილობს კომპლექსის მოხსნას ლაბიალური ელემენტის გაუჩინარების გზით. ეს პროცესი შედარებით ახალია და **განსაკუთრებით ახასიათებს** ბალსქვემოური დიალექტის სამხრულ კილკავებს (ლახამულურს, ჩუბეხეურსა თუ ფარულს). ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ 104 წლის ბალსზე-მოელი ქალბატონის მეტყველებაში შესაბამისი ნიმუშები სულ რამდენჯერმე შეგვხვდა და ისიც, ძირითადად, ლაბიალური ფონების მეზობლობაში: **ფიროლდ** (**ფურირ-ოლდ** < **ფურ-ოლდ** < ***ფურ-ი-ოლდ** — „ძროხა“ — კრინ. ფ., **უობელდ** (**ობუელ-დ** < ***ობოლ-დ**) — „ობოლი“, **ხოუელ-და** (**ხ-ო-უუელ-დ-ა** < **ხ-ო-უოლ-დ-ა** < ***ხ-ო-უოლ-ი-დ-ა**) — „უძლვებოდა“, **ლგთეილ** (**ლგ-თეუ-ილ** < **ლგ-თუე-ილ**) — „თვირინი“. სამაგიეროდ, ამგვარი ფორმები გაცილებით ხშირად იხმარება წარმოშობით ლატალელი, მაგრამ ეცერსა და ბერიში დაბადებულ-გაზრდილი, ხოლო შემდეგ კოდორის ხასახლებული 103 წლის არეთა ფარგველიანის მეტყველებაში, თუმცა არც ისე ხშირად, როგორც თანამდეროვე ლახამულელი ახალგაზრდობისა და საშუალო თაობისაგან ჩაწერილ ტექსტებში.

რაც შეეხება მესტიის რეგიონს, იქ, როგორც ჩანს, შედარებით ადრე დაიწყო უმლაუტიან ლაბიალურ ხმოვანთა ბეგრათკომპლექსებად დაშლის პროცესი. როგორც ცნობილია, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი სები გულედანი, ვინც 1923 წლიდან აკაი შანიძესთან და ვარდამ თოფურასთან ერთად იწერდა სვანურ ტექსტებს, **ო-სა** და **უ-ს** უმლაუტს ორი წერტილით კი არ გამოხატავდა, არამედ შესაბამისი ბეგრათკომპლექსებით, ზოგჯერ მეტათეზირებულით (**ჰერუმა** < **ჰუერია** და არა **ჰლერია** „ქუდიანი, ჭინკა, ეშმაკი“).

მინა ქოჩქიანს მამა ხალდელი ჰყავდა, ხოლო დედა — კალელი,

თავად კი, ვიდრე კოდორის ხეობაში გადასახლდებოდნენ, იზრდებოდა სოფელ მულაბში. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, უშგულში, კალასა და ხალდეს ტერიტორიაზე გვარცელებულ სვანურში ბალსზემოური დიალექტის **ატბ** ხმოვნის ნაცვლად გვხვდება **ე**. ზოგი მეცნიერი (ა. შანიძე, ვ. თოფურია, თ. შარაძენიძე, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე) ამ მოვლენას აბლაუტს უწოდებს, ზოგი კი — უკანა მიმართულების უმლაუტს (მ. ქალდანი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ მინა ქოჩქიანის მეტყველებაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა მშობლების სვანურმა, რომელიც ტერიტორიულად ლაშეურ დიალექტს ემეზობლებოდა: **ხევჭნი** (შდრ. მესტ.-ლენგ.-მულახ. **ხავჭნი**) — „ჰყავდათ“, **ემსატდს** (შდრ. **ატმსატდ**) — „დამრჩნენ“, **ეზერ** (შდრ. **ეზატრ**) — „კარგი“ და მათთანა ფორმები ცხენისტყოლის ხეობიდან ენგურის გავლით თან გაჰყვნენ მინა ქოჩქიანს კოდორის (resp. დალის) ხეობაში. შეიძლებოდა იგვე გვეთქვა **ეჩჩუ** („იქ“) ზმინისართის შესახებაც, რომელიც დღეს მხოლოდ ლაშეურ დიალექტში გვხვდება **ეჩჩუ** ფორმის პარალელურად. ასევე იყენებს მათ 104 წლის ქალბატონიც.

რედუქციის წესები საკმაოდ მკაცრადაა განსაზღვრული სვანურ ენაში (ც. თოფურია, მ. ქალდანი, ო. ონიანი, მ. ნიკოლაიშვილი), ამიტომაც, დიდი ხნის წინ კოდორს ჩასახლებული ბალსზემოელი მინა ქოჩქიანის მეტყველებაში დადასტურებული ურედუქციონ ფორმები (**დეუ-დერ-იან-ატრ**, შდრ. ბზ. დეუდრიანატლ „დევდარიანები“, **შდარატლე** < ***შდა-არ-ალ-ეშ**, შდრ. ბზ. **შდარლეუ**, „ტაროების“, **სედ-ენ-ი-**, შდრ. ბზ. **სედნი** „რჩება“), ვფიქრობთ, არქაიზმის გამოვლენა უნდა იყოს და არა ინტერფერენცია სხვა დიალექტებთან — შედარებით სუსტი რედუქციის მატარებელ ლენტეხურთან, რომელთანაც შეხება არასდროს ჰქონია 104 წლის მთქმელს არც ენცურისა და არც კოდორის ხეობაში ცხოვრების დროს (ამ. უკანასკნელ ტერიტორიაზე ქვემო სვანებს არც უცხოვრიათ).

პირველი, რაც შეიძლება ხაზგასმით ითქვას მს.რ. ნათესაობითი ბრუნვის მორფების თანხმოვნითი ელემენტის შესახებ უხუცეს კოდორელთა მეტყველებაში, ესაა ის, რომ პრეპოზიციულ მსაზღვრელთან **-ჟ** ყველთვის გაუჩინარებულია ბალსზემოურ დიალექტში (პროცესი დაიწყო საუკუნის წინ — იხ. შესაბამისი პუბლიკაციები სვანური ტექსტებისა), მაგრამ თითქმის ყოველთვის დაცულია ბალსქვემოურ-

ში. რაც შეეხება იმავე ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმანტს - **ეშ**, მისი ცვეთის დამადასტურებელ უდავო დოკუმენტადაც კი შეიძლება გამოგვადგეს მინა ქოჩქიანისა და არეთა ფარგველიანის მეტყველება, სადაც -**შ** ყოველთვისაა გაუჩინარებული.

მეტად საინტერესოდ ხმარობს 103 წლის მხცოვანი მთქმელი ნათანდებულარი ბრუნების სხვადასხვა ფორმას. სპეციალურ ლიტერატურში (გ. მაჭავარაინი, ალ. ონიანი) გარკვეული ეჭვებიც გამოთქმულა ე. წ. „საკუთრივ სვანური ბრუნების“ (ნ. მარი) გამომხატველი -**ნ** მორფემის მიმართ, მაგრამ არეთა ფარგველიანის მეტყველება ადასტურებს იმას, რომ -**გნ** ისეთივე მაწარმოებელია მიცემითი ბრუნვის ფორმისა, როგორიც -**ს** : **ბალ-გნ-ჩუბოუ-იშ-ს || ბალ-ს-ჩუბოუ-იშ-ს...** მგდას... ლეჩტაბას ხატულის — ბალსკემოთა ტერიტორიას („ბალსკემოის გას“)... იმას... ქვედა მხარეს („საქვენაოს“) უწოდებენ.

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ -**ე** აუსლაუტიან, ანუ **მარე** („კაცი“) ტიპის სახელებს, რომელთა ამოსავალმოვნიანი ფორმები ჩვენ აღრე დავადსტურეთ სვანური ენის სხვადასხვა დიალექტში (**მაშენა** — სოფელ ჩიხარეშის უგუმბათო ეკლესის სახელწოდება, შდრ. სხვა-გან **მაშენე / მაშენე „უდიდესი“, ლნტ. მენესკერე, ლშხ. მანესგრა, შდრ. ბზ. მანესგრა**, „შუათანა“, ბქ. ნატხეურა, შდრ. ლშხ. ნათხეურა „ნანადირევი“, ბზ. კადა, ბქ. კაჭადა, შდრ. ლშხ. კადე), რომელთაც მხარს უმაგრებს კოდორელ უხუცესთა მეტყველების არქაული ფორმები: **ათხა** (ახლა“) — სახ.ბრ., **მგდა** (... „ისა“...) — სახ.ბრ., რომლებიც დღეს მხოლოდ მიცემითის სემანტიკას გადმოსცემენ.

მგდე ნაცვალსახელური ძირი ძალზე გავრცელებულია სვანურში, იმდენად გაგრცელებული, რომ ქვემო სვანეთში ერთი სახელგან-თქმული მონადირის სახელი ხალხმა სრულიად მიივიწყა და მას **„მგდე“** შეარქვა, რადგანაც თავისი ფანტასტიკური თავგადასავლების არაერთ ეპიზოდთა გასახსენებლად ის ხშირად მიმართავდა ამ ლექსემას; მაშასადამე, **მგდე** სიტყვის მასალაა დღეს, თუმცა არაერთხელ გამოიყენება ნაირ-ნაირ პარადიგმატულ ერთეულთა (ბრუნვათა, მწკრივთა, ...) საწარმოებლად. ისევე, როგორც ყველა -**ე** აუსლაუტიან სახელთა ბრუნების შემთხვევაში, აქაც ორფუძიანი ბრუნება გვაძეს (სახ. და ნათ. ბრუნვათა ფორმები ეყრდნობიან პალატალურ-

ხმოვნიან, ხოლო დანარჩენები — ამოსავალ -**ა** ხმოვნიან ფუძეს). კოდორის ხეობელ უხუცესთა მეტყველებაში დადასტურდა მესამე (თანხმოვნიანი) ფუძეც, ესაა **შგდ**, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება ბალსკემო სვანეთში გაზრდილი არეთა ფარგველიანის მეტყველებაში, რადგანაც -**ე** აუსლაუტიან სახელთა ცვეთისა და მათი თანხმოვნიანთა კლასში გადანაცვლების პროცესი დღეს ხელშესახები სწორედ ბალსკემოურ კილოშია.

მაშასადამე, ამ თვალსაზრისით 104 წლის მინა ქოჩქიანის მეტყველება უფრო არქაულია, რადგანაც სამივე ფუძეს (**მგდა, მგდე, მგდ**) წარმოგვიდგენს სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში, ხოლო 103 წლის არეთა ფარგველიანთან დიალოგში მხოლოდ მეორეული (**მგდატ, მგდე, მგდ**) მონაცემები დადასტურდა, ამასთანავე **მგდა** და **მგდე** ფორმათა გარდამავალი **მგდა** **საფეხური** სსვაგან ჯერ არ შეგვეძლია. გარდა ამისა, აქვე უნდა დაისვას **მგდატტ / მგდე**, ერთი მხრივ, და **მგდ**, მეორე მხრივ, ვარიანტთა მიმართების საკითხი ადამიანთა და არაადამიანთა კლასთან, ანუ **გინ** და **რა** ჯგუფის სახელებთან, რაზედაც სპეციალისტებს ჯერ-ჯერობით ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

რაშია საქმე? ორივე უხუცესი თითქმის ერთი და იმავე ასაკისაა, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საქმეს წყვეტს ექსტრალინგვისტური (გენდერული) პრობლემა: ქალბატონი უფრო ინარჩუნებს არქაულ მეტყველებას, რადგანაც მას მაინცდამაინც დიდი კონტაქტები არა აქს გარე სამყაროსთან, სხვა ენებთან თუ დიალექტებთან, იმ დროს, როდესაც მამაკაცები, ძალზე მხცოვანიც კი, სწორედ მათთან არიან ინტეგრირებულ-ინტერფერენცირებულნი. საქვეყნოდ აღიარებული უნივერსალია შესანიშნავად დაადასტურა კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობამაც.

დანარჩენ ლინგვისტურსა თუ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შევეხებით სხვა დროს, როცა კოდორელთა მეტყველება მთლიანად გვექნება დაფიქსირებული ვიდეო-აუდიო აპარატურითა თუ ექსპერიმენტული ფორმეტის ტექნიკით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გვჭირდება ბალსკემო სვანეთიდან საუკუნენახევრის წინ კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მემკვიდრეების მეტყველების გამოწვლილვით შესწავლისას, რადგანაც ისინი უკვე კარგა ხანია წარმოთქვამენ გრძელ

ხმოვნებს ბალსზემოედ მეზობლებთან უშუალო თანაცხოვრების გამო. აქვე უნდა გავიხსენოთ 1938 წლის ზაფხულში, სვანური ფონეტიკის შესწავლისას, გაკეთებული ფრიად საყურადღებო დასკვნა პროფ. სერგი უღენტისა: ზოგჯერ ქართულის სუსტად მცოდნე სვანი ქართულ ხმოვნებს ისე აგრძელებს, როგორც ეს სვანურისათვის არის დამახასიათებელი: „არა, კაცო! ჩვენ გვინდა; რაც გრძნდოდა; ჩვენ ფულს ვერ მივცემთ; მერე ილოცავდნენ ლადბარში; ჩვენ გვაქვს; მარტო ის პრა; ქალი; აქვს; ფეხს...“ თუ რა თავისებური სახე მიიღო ქართულმა მეტყველებამ სვანურის ენობრივ სინამდივლეში, მეტად საინტერესო საკითხს წარმოადგენს და სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

ელისაბედ გაზდელიანი

კოდორის ხეობის ზოგი ტოპონიმის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი

ქველი მისიმიანეთი, რომელიც ისტორიკოსების ვარაუდით, მოიცავს დღევანდელ დალის ხეობას, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა. უღელტეხილებზე გადადიოდა გზები ზემო სვანეთსა და ყარაჩაი-ბალყარეთში. ივარაუდება, რომ IV-VII საუკუნეებში კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიისა და შეა აზიას შორის.

დალის ხეობის მოსახლეობა დროდადრო იცვლებოდა სხვადასხვა მიზეზების გამო; ადრეული საუკუნეებიდან XV-XVII საუკუნემდე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველური ტომები, ხოლო მოგვიანებით დამკიდრდნენ აფხაზები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძნიშვილი, ს. ჯანაშია, თ. მიბჩუანი, თ. გვანცელაძე...). მუჭაჭირობის შემდეგ იქ დასახლდნენ: ბერძნები, სომხები, რუსები. კოდორის ხეობის ზემო ნაწილში თავის ისტორიულ საცხოვრისს კვლავ დაუბრუნდნენ სვანები.

გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ სვანური ტოპონიმები ქრის-

ლოგიურად სხვადასხვა დროის კუთვნილებაა, ზოგი მათგანი ძველია, ზოგი კი — შედარებით ახალი (**ბომბი ნაზირი ნაკ** — „ბომბის დანაცემი ვაკე“; **თუშეთნე ბუტკა** - „თეთრი ჭიხური“; **ლაშერე ნადაუშუ** — „ლაშელების დანალუბავი“).

კოდორის ხეობაში ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა ტოპონიმებმა:

1. **ა-ჭაფარ-ა** — საზაფხულო საძოვარი, მთა ქლუხორის მახლობლად. შდრ. სვან. **ჭაფუშრ ბზ.**, **ჭაფორ უშგ.**, **ჭაფორ ქს.** — „ფამფარა“ (სამყურა ბალაზი). ერთმა გერწვიშელმა მთქმელმა ჩაგვაწერინა **ჭაფერ** ფორმა (**ჭაფორ** — **სემი ლგშტიბ ბალახ ლი, ლახშეს გარ სოხალ ი კუმაშს მაშენაშ ალგუშარი** — ჭაფორი სამყურა ბალაზია, მხოლოდ მთაში იცის და საქონელს ყველაზე მეტად ასუქებს (არს. ონიანი), რომელშიც, როგორც ჩანს, მეორეული **ე** იწვევს წინამავალი ხმოვნის უმღაუტს (შდრ. ლაშეური და ლენტეხური მონაცემები): **ჭაფორ + ი > ჭაფორ > ჭაფუშრ > ჭაფერ**. საანალიზო ტოპონიმში ბალაზის სვანური სახელი გაფორმდა აფხაზურად (**ა-ჭაფარ-ა**);

2. **ბგძგგრ || ბგძგგურ** — სოფელი ჩხალთის მახლობლად. **ბგძგ-ნ-იერ** სახნავ-სათიბის სახელწოდებაა ლენჯერში (თ. მიბჩუანი). **ბაგარ** - (ლეჩ., აჭარ., გურ. ...) — შექრის მსგავსი... ეკლიანი ხე (ა. ღლონტი). **ბუჟგ-ური / ბუჟგ-ურ** სვანურში წაბლის ნაყოფის გარეთა ეკალია.

3. **უთურ / უთური** — ქედი, უღელტეხილი, საიდანაც გადადიოდა გზა ჩუბეხევიდან აფხაზეთის მთებში. გამოიყოფა უქონლობის **უ- პრე-ფიქსი** და ფურეული **თური** ზს., ლნტ., **თურ ლშხ.** — „ორთქლი, ოხშივარი...“ **უთურ / უთური** „უორთქლო, უნისლო უღელტეხილს“ უნდა ნიშანვდეს.

4. **ლატლიაზ ლატლი** — „საზაფხულო საძოვარი აჭაფარაში“. **ლეხ** — „მთის მცენარეა, იჭმევა უმად“. ბზ. **ლეჲ**, ბქ. **ლეჲი, ლშხ.** **ლეიხ**, ლნტ. **ლე** — „ღუცი“, შდრ. კოდორის ხეობის **ლეხი > ლხი** ფორმა, სადაც **ე** შეკუმშულია სვანურში. ხშირია **ჰე** სხვა მასალაშიც. სინტაგმაში **ლატლიაზ ლარ ლა-** დანიშნულების აღმნიშვნელი პრეფიქსია, ხოლო **-აზ** < **ა-იშ** — ნათ. ბრ. ნიშანი. **ლატრ** — 1. ღარი, 2. ხევი, ხეობა; ე. ი. **ლატ-ლე-ი-აზ ლატრ** — „საღუცე (საღუცის) ხევი“.

5. **სუარატუში ჭარე ზემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში გადასასვლელ ერთ-ერთ უღელტეხილს ეწოდება. ლათას ლეჲაუ**

ჩიატგ მუშონი იზგე ხურატშ კარგთეისგა (სვან. ქრესტ., გვ. 88) — „ლათას ზემოთ ყველგან სვანი ცხოვრობს ხურაშის უღელტეხილამდე“.

ვფიქრობთ, **ხურა** ფუქე უკავშირდება სვანურ ლექსემას **მუშონი** ბზ., **გურუტარი** ლშხ., **კუტრი** ბქ. — „ასკილი“; ე. ი. **ხურატ კარგ** „ასკილიან უღელტეხილს“ უნდა ნიშნავდეს.

6. **საკენ** — სოფელი ომარიშალის მახლობლად. **საკნი ტუბი** — „საკენის ხევი, ხეობა“. **საკენ ლი ხოჩა მინდორ, ლარე; ეჩერუ ანდრი ჭალა** / **საკნარა / საკნგრა** — „საკენი არის კარგი მინდორი, სათიბი; იქ მოდის მდინარე საკნარა“. -რა -სუფიქსი ხშირად გვხვდება სვანურში როგორც ჰიდრონიმებში, ისე ადგილის სახელწოდებებში.

საანალიზო ტოპონიმში გამოიყოფა **სა-** -თავსართი (შდრ. **საგე-ულ** — ადგილის სახელწოდება ლაშეთში; **სა-გერგ-ილ** — ხიდი ჭუბერის გადასახვევთან), ხოლო **-კენ** უნდა იყოს ფუქე, შდრ. ბზ., ქს. **კუენ-, ლხმ. კენ, ლშხ. რკუენ** — „კვერნა“, მაშასადამე, **საკენ** „საკვერნე ადგილს“ უნდა ნიშნავდეს.

რ უ ს უ დ ა ნ ი თ ს ე ლ ი ა ნ ი

კოდორის (resp. დალის) ხეობის ეთნოლინგვისტური ხასიათის კომენტარები

დალის ხეობიდან ქვემო ქართლში იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში ჩაწერილი ტექსტები (მეტყველების ნიმუშები) ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო ცალსახად ლინგვისტური, არამედ ეთნოლინგვისტური თვალსაზრისითაც. მა მასალებში დაცულია საინტერესო მონაცემები დალის სვანეთის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და მათი ურთიერთობის შესახებ მეზობელ კუთხეებთან. უაღრესად მდიდარი მასალიდან ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ ასპექტზე.

დალის ხეობისა და ზოგადად აფხაზეთის უძველესი მოსახლეობის საკითხი დიდი ხანია მეცნიერ-მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს. დამკვიდრებული თვალსაზრისით, აქ ოდითგანვე მოსახლეობდნენ ქართველური ტომები, მათ შორის სვანები. საინტერესოა, რომ ამ მოვლენის ხსოვნა კარგად არის შემონახული დღევანდელი მოსახლეობის ისტორიულ მესაიერებაში, რასაც შესაბამისი ტოპონიმებიც ადასტურებენ. მთხოობელთა თქმით, „დალი ოდითგანვე სვანების სამოსახლო ყოფილა, ამიტომაც მას სვანური სახელი დატლიატი ტუბი — დალის ხეობა ჰქვია“. მოსახლეობა სამჯერ ყოფილა ამოწყვეტილი, თუმცა იქ ისევ სახლდებოდნენ ზემო სვანეთიდან გადასული სვანები სწორედ იმიტომ, რომ თავის მკვიდრ სამოსახლოდ მიაჩნდათ:

ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ფაქტი სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანია — ჩანს, რომ მოსახლეობის ეთნოფსიქოლოგიაში მკვიდრად არის გამჯდარი აფხაზეთის, როგორც მშობლიური, ოდითგანვე საკუთარი კუთხის აღქმა და გააზრება, რასაც საუკუნეები სჭირდება, მოკლე დროში ასეთი ცნობიერების ჩამოყალიბება შეუძლებელია:

შევნეან ლაზზიგალდ ეჭდა ესლგრდა მაგ დალთე, ერე დალ ერ ლი შევანრეშ, ლი ნაშეან ი ჯახე იუანლო ხევნეან ალას დალია ტუბი — შევანრე ნაუანტი — „სვანეთიდან საცხოვრებლად იმიტომ მიდიოდა ყველა დალის ხეობაში („დალ-ს-კენ“), რომ დალის ხეობა („დალი რომ“) არის სვანების, არის ნასვანარი და სახელიც უძველესი დროიდან ერქვა ამას დალის ხეობა — სვანების დარქმეული („ნარქმევი“)“.

არანაკლებ საინტერესოა ხეობის სახელწოდება **„დალ“**. დალი სვანური მითოლოგის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა, ნადირობის ქალღმერთი, ნადირთა და მონადირეთა მფარველი. ხალხის წარმოდგენით დალი ულამაზესი ოქროსთმიანი ქალია (**დატლი**, აქედან **დატლოდ** — თოჭინა), რომელიც კლდეში, გამოქვაბულში, ცხოვრობს. იგი მონადირეებისაგან ირჩევს ყველაზე ძლიერსა თუ გამორჩეულს და საყვარლად გაიხდის, ღალატის შემთხვევაში კი ღუბავს მას.

დალის ასეთი გააზრება გვხვდება ზემო და ქვემო სვანეთში; ამ მონაცემებით სრული ანალოგია დასტურდება კოდორის ხეობაშიც, თუმცა აღსანიშვნია ის ფაქტი, რომ, წინამდებარე მასალის მიხედვით, დალის ხეობაში თითქმის ბოლომდე ჩანს შემორჩენილი ქალღმერთთან დაკავშირებული რწმენა მისი ურთიერთობისა მონადირეებთან.

ტექსტებში საინტერესო მასალაა წარმოდგენილი დალის ხეობის ტოპონიმიკასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ გეოგრაფიულ სახელთა ცვლილებას დიდი დრო სჭირდება და მისი ძირითადი ნაწილი თითქმის უცვლელად ინახება ხოლმე. მიუხედავად მცხოვრებ ეთნოსთა ცვალებადობისა, ახალმოსული ხალხი, ძირითადად, ინახავს მისი წინამორბედისგან ამა თუ იმ ადგილისთვის შერქმეულ სახელებს.

დალის ხეობის ტოპონიმებიდან მასალაში დაფიქსირებულია ომარიშალი, ნატშიხეუ, ობურლუან, აჭაფარა, გუანდრა... ამ ტოპონიმების ძირითადი ნაწილი, თვალნათლივ ჩანს, რომ სვანურია.

საინტერესოა ომარიშალის სახელწოდება, რომლითაც მას მოიხსენიებენ ადგილობრივი მცხოვრებლები:

მალცუნება ექდა ხაშხა, ერე საკნგრა ი გუანდრგლა იტუტბალს ი ეჩი ნესგა ლი ალ სოფელ — „იალცუნესგა“ იმიტომ ჰქვია, რომ საკარა და გვანდრალა უერთდებიან ერთმანეთს („ტყუბდებიან“) და იმათ შორისაა („შუა არის“) ეს სოფელი“.

დალის ხეობიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში ჩაწერილი ტექსტებიდან კარგად ჩანს მათი წეს-ჩვეულებების ერთიანობა დანარჩენ სვანეთთან. თუ დაგაკვირდებით მათ მეტყველებას, სპეციფიკური სახის (სამეურნეო, რელიგიური, ხალხური სამართლის და ა. შ.) ტერმინოლოგიას, აღმოჩნდება, რომ ისინი, ძირითადად, განუყოფელი არიან ზემო და ქვემო სვანეთის მოსახლეობისაგან, თუმცა მეტი სიახლოვე ზემო სვანეთთან შეინიშნება.

ერთიანი ტრადიციისა და წეს-ჩვეულებების არსებობა დალის ხეობასა და დანარჩენ სვანეთში კარგად ჩანს: სამგლოვიარო, სამონადირეო, სადღესასწაულო, ხალხური სამართლისა და სხვ. ჩვეულებებში. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ძირითად ასპექტებზე:

ისევე, როგორც ზემო სვანეთში, დალის ხეობაშიც სცოდნიათ დაკრძალვის დღეს ქაბაბის გამოცხობა. ეს არის პური, რომელიც იმდენი ცალი ცვეცბოდა, რამდენი მიმსვლელიც იყო ქელებში.

ლაშდლუალ ლადედ ქაბაბ ხეკუეს ათხუიან ჩის მარემი ქუნეო — „გასვენების დღეს ქაბაბი უნდა შეხვედროდა ყველას („კაცის სულზე“).“

ქაბაბი იყო დიდი ზომის მრგვალი პური, რომელსაც გვერდებზე უკეთდებოდა ორნამენტი, მაგრამ რანაირი იყო ეს ორნამენტი და რას გამოსახავდა, მთხრობლებს არ ახსოვთ, ზოგიერთი მათგანის თქმით ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ჯვარი...¹ სულხან-საბას განმარტებით, ქაბაბი საუკეთესო ფქვილის „ერთგვარი ნამცხვარია“. საქართველოს სხვა კუთხეებში ასეთი სახელწოდების პური არ გვხდება (თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით).

რაც შეეხება „დალის სვანეთის“ ზემოაღნიშნულ ტექსტებში დაფიქსირებულ საბრძოლო-საომარ ტრადიციებს, იკვეთება მსგავსება არა მარტო დანარჩენ სვანეთთან, არამედ მთლიანად საქართველოს მთიანეთთან.

ეს პირველ რიგში გამოიხატება ბრძოლაში აუცილებელ, ურთიერთდამოკიდებულების რაინდულ ნორმებში, რაც საერთო იყო მთელი კავკასიისათვის. კოდორული მეტყველების ამსახველ ტექსტებში ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია დაფიქსირებული, როგორ ეფიცებიან მტრები ერთმანეთს ძმებად, მასპინძელი მოსაკლავად გამეტებული ძმობილის სისხლს სახლში არ დაღვრის, მას გარეთ გაიყვანს და ისევ მოძმებს ჩააბარებს. ასეთი ურთიერთობის ნათელი მაგალითია, აგრეთვე, კოდორულ მთქმელთა ტექსტებში დამოწმებული ინფორმაცია — როგორ წერენ ჩრდილო კავკასიელები ლექსს და როგორ გადასცემენ თაობებს ერთ-ერთ სვანი მეომრის შესახებ.

აღნიშნული ტექსტების სათუდველზე კარგად იკვეთება ერთი უძველესი პლასტი მთის მოსახლეობის ყოფისა, რასაც „მეკობრეობა“, ანუ სვანურად „ლალეშგალთე ლიზი“ („წასართმევად სვლა“) ეწოდება. ეს ადათი გულისხმობდა ჩრდილო კავკასიაში გადასვლას და

¹ ხათუნა ოსელიანი, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში, თბ., 2005, გვ. 149.

იქიდან საქონლის ჭოგის წამოსხმას. დალის ხეობელი მთხოვბელის მიერ სრულიად სამართლიანად არის მოვლენა შეფასებული:

ჯუნინალდ შუანისგა ი დალისგა საშთქუენას საუთე ლიზი ქილიმგენოლ ლალეშგითე. ალის ლიქტორ დემე ხშენა, მეგჟე ლიმარგუ ლგმპრ სპირო. ალი ლეშგუირდ ეჩეას დემეგ ხაბუენას — „ძველად სვანეთში და დალის ხეობაში („დალში“) სჩეოდათ ჩრდილო კავკასიაში („საგეთ-ს-კენ“) წასვლა საქონლის („სულდგმულის“) წასართმევად. ამას ქურდობა არ ერქვა („რქმევია“), დიდი („გამძლე“) მოხერხება ყოფილა საჭირო. ეს სირცხვილად მაშინ არ ითვლებოდა“.

ეს არ იყო ყაჩაღობა, იქ წასვლა და საქონლის გაღმოყვანა ვაჟაცობას ნიშნავდა: „ლალეშგითე მხოლოდ რჩეული ვაჟკაცები დადიოდნენ“, რაც ტრადიციულად საქართველოს მთისთვის იყო დამახასიათებელი.

ჩვენი თვალსაზრისით, სიტყვები **მე-კობ-არ-ი > მე-კობ-არ-ი > მე-კობ-რ-ე** ერთი და იმავე ფუძიდანაა წამომდგარი, რაც კავშირს, ერთად ყოფნას ნიშნავდა (შდრ. ხევს. **მე-კობ-არ-ი**); ამას კარგად ადასტურებს სვანური მასალაც „კობაზრ“ — ღილები, ანუ ერთმანეთთან შეკვრა.

ამდენად, ის უძველესი პლასტი, როცა ჩრდილოკავკასიაში საქონლის წასართმევად წასვლა ვაჟაცობას ნიშნავდა, მთელ საქართველოს მთიანეთსა და დალის ხეობაშიც დასტურდება.

კოდორელ მცხოვრებთა ყოფაში, საანალიზო ტექსტების მიხედვით, ასევე დადასტურდა გარკვეული განსხვავება დანარჩენ სვანეთთან მიმართებაში, რაც ცხადია, მეგრელებთან და აფხაზებთან ახლო მეზობლობით არის გამოწვეული. ეს განსხვავება ძირითადად, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებით შეიმჩნევა.

ამრიგად, კოდორის (resp. დალის) ხეობიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩაწერილი მასალა ფასდაუდებელია ეთნოლინგვისტური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

ფუძედრეკად ზმნათა მასდარის წარმოება კოდორისა და ენგურის ხეობების მცხოვრებთა მეტყველებაში

ქართველურ ენათა ზმნას, როგორც მრავალპირიანს და მდიდარს ფორმებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გვარის კატეგორიის დადგენისათვის საზოგადოდ და კერძოდ აქტივ-პასივის ურთიერთობის გარკვევისათვის (ა. შანიძე).

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სვანური ზმნის მასდარში გამოვლენილ აქტივ-პასივის ფორმებზე, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ არ არის შესწავლილი.

თანამედროვე ქართულში გვარის მიხედვით, როგორც ცნობილია, განსხვავებულია მხოლოდ რამდენიმე ზმნის მასდარი. თითქმის იგივე ვითარებაა ძველ ქართულში:

განრინება (განვარინე) — განრომა (განვერი)

დადგრინება (დავადგრინე) — დადგრომა (დავადგერ)

არქაული ენობრივი ფორმებით უაღრესად მდიდარ სვანურ ენაში აღნიშნული საკითხის სათანადო შეუსწავლელობაზე საგანებოდ მსჯელობს ი. ჩანტლაძე ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნის — ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში: „პრაქტიკულმა საქმიანობამ ისეთი საკითხებისთვისაც მიგვაქცევინა ყურადღება, რაც თეორიული მუშაობის დროს შესაძლოა არ წამოწეულიყო წინა პლაზზე — ზოგი მათგანის შესახებ არც სპეციალურ ლიტერატურაშია მსჯელობა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ცნობილია, რომ ფუძედრეკად ზმნებს სვანურში ახასიათებთ ძირისეული ხმოვნის აბლაზტი, რითაც გარჩეულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები. სალექსიკონ მასალაზე (განსაკუთრებით მასდარისეულ მონაცემებზე) დაკვირვებამ ცხადყო, რომ თანდათანობით ისპობა ეს დაპირისპირება თანამედროვე ცოცხალ მეტყველებები, მეტწილად ქვემოსვანურში — ალბათ ქართულ ენასთან მჭიდრო კონტაქტის გამო“.

მასალას სვანებოდ კრებდით სვანურ მორთვემულ ლექსიკონზე მუშაობისა და კოდორის ხეობის ინტერფერენციული მეტყველე-

ბის ჩაწერა-შესწავლის დროს; გამოვლინდა ათეულობით ფორმა, სა-დაც მკაფიოდაა გამიჯნული აქტივისა და პასივის სემანტიკა:

მოქმედებითი	ვნებითი
S O ₃	S
ლი-ბჭკუ-ე (ბიჭკუ ეჯა ეჩას) — ლი-ბეჭკუ (ბეჭკუნი ეჯა) „გასკდომა“	
ლი-ხპ-ე (ხიპ „ — „) — ლი-ხეპ (ხეპნი ეჯა) „დანარცხება“	
ლი-ცლ-ე (ცილ „ — „) — ლი-ცელ (ცელნი ეჯა) „გახევა“	
ლი-გლ-ე (გილ „ — „) — ლი-გელ (გელნი ეჯა) „გაპობა“	
ლი-ბთქ-ე (ბითქ „ — „) — ლი-ბეთქ (ბეთქნი ეჯა) „გასკდომა“	
ლი-ყუჩ-ე (ყუჩიჩ „ — „) — ლი-ყუჟეჩ (ყუჟეჩნი ეჯა) „ტეხა, ტყდომა“.	

ყურადღება მიიქცია **-შლ** სუფიქსიანმა მასდარებმა, რომელთაც აქვთ აქარად გმოხატული პასიური შენაბამის უსუფიქსო ფორმებთან მიმართებით, რომელნიც აქტიური სემანტიკის მატარებელია:

მოქმედებითი	ვნებითი
S	S
ლი-მბან-ი (ამბაზნი ეჯა ეჩას) — ლი-მბან-შლ (იმბანშლ ეჯა) „დაფიცება“	
ლი-ყუნ-ე (აყუნუნ „ — „) — ლი-ყუნ-შლ (იყუნაშლ ეჯა) „დაწვენა, „დაწოლა“	
ლი-ჩიუ-ე (აჩიუუ „ — „) — ლი-ჩიუ-შლ (იჩიუშლ ეჯა) „გასიძება“	
ლი-ლჲ-ე (ილჲ „ — „) — ლი-ლჲ-შლ (ილჲშლ ეჯა) „დატირება“.	

-ატლ სუფიქსი სვანურ საწყისებსა და ზმნებში პოლისემანტური ფუნქციის მქონეა, ყველაზე ხშირად ის ჭელი ქართულის **-ნ / -ენ** ფორმანტთა ეკვივალენტურია და პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს მასდარებში:

ლი-ნუ-ე — „გამოცხობა (ერთისა)“ — ლი-ნუ-ატლ-ი — გამოცხობა (ბეგრისა)“.

საყურადღებოა სვანურში მრავალფუნქციური **-შლ** ფორმანტიანი მასდარების პასიური სემანტიკა (შდრ. **ლი-წუილ-შლ** „გათხოვება“).

კოდორის ხეობის ინტერფერნციული სვანური მეტყველების მასალის სრულად მოპოვებისა და გაანალიზების, ზემოსვანურ დიალექტებთან შედარება-შეპირისპირებითი შესწავლის შემდგომ შესაძლებელი გახდება სრულყოფილი და სათანადო დასკვნების გაკეთება,

ამჯერად კი შეიძლება ითქვას, რომ სვანური ენის მასდარში გვარის კატეგორია გარჩეულია გაცილებით უფრო მკვეთრად და მკაფიოდ, ვიღრე ეს თანამედროვე ქართულში, ზანურში ან ძველ ქართულშია.

მოქმედებითი გვარის საწყისი **ლი-ე** კონფიქსით, ვნებითი კი — ოდენ **ლი** პრეფაქსით (**ლი-ცლ-ე** — **ლი-ცელ**) იწარმოება, თუმცა ისტორიულად ორივე შემთხვევაში უნდა გვქონოდა **-ე** სუფიქსი (შდრ. ლენტებური დიალექტის ურედუქციონ მონაცემები).

საკითხის სილრმისეულად და სრულყოფილად შესასწავლად, ვთიქრობთ, აუცილებელია აქცენტის გაკეთება სემანტიკურ ასპექტზე და კვლევაში მისი სათანადო გათვალისწინება.

ქეთევან მარგიანი - სუბარი

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია კოდორის ხეობის სვანურში და მისი მიმართება ზემოსვანურ დიალექტებთან თუ ძველი ქართულის მონაცემებთან

„ქართველური ზმნის მექანიზმი საერთოდ როგორია, მაგრამ სვანურისა — განსაკუთრებით“ — ალნიშნავდა ვ. თოფურია. ამ სირთულის ერთ-ერთი საფუძველი ენაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის არსებობაა, რაც გულისხმობს მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმაში მეორე პირის გათვალისწინებასაც (ინკლუზივი) ან მის გამორიცხვას (ექსკლუზივი).

სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივი მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც აისახება არა მარტო ზმნაში, არამედ კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც. ზემოსვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას ადგილი აქვს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში, ხოლო ქვემოსვანურში მარტოოდენ სუბიექტური წყობის ზმნებში.

სუბიექტის ინკლუზივს (Si) გამოსახატავად სვანურ ზმნაში გამოიყენება **ლ- (ლუ-, ლუ-)** — **-დ** აფიქსები (ლ-ატში-დ „ვწვავთ მექვენ“ + შენითქვენ“, **ლუ-დგე-დ** „ვაქრობთ“ Si: **ლუ-ხურე-დ** „ვან-

გრევთ“ Si).

სუბიექტის ექსკლუზივი (Se) მხოლობითი რიცხვის ფორმისაგან მხოლოდ მრავლობითის -დ სუფიქსით განსხვავდება, რაღანაც პირველი პირის მორფემა (ხუ- პრეფიქსი — ხმოვნით დაწყებულ ფუქებთან, -უ- ინფიქსი თანხმოვნით დაწყებულ ფუქებთან) საერთოა ორივე რიცხვისათვის (ხუ-ატჲხი-დ „ვწვავთ“ Se, დ-უ-იგე-დ „გაქრობთ“ Se).

ობიექტური პირის ინკლუზივს (Oi) თანამედროვე ზემოსვანურში გუ-(გუ-) პრეფიქსი გამოხატავს (გუ-ატჲხი „ვგწვავს“, გუ-ტხე „გვაბრუნებს“ Oi), ხოლო ექსკლუზივს — ნ-ნუ- (ნ-ატჲხი „ვგწვავს“, ნუ-ტხე „გვაბრუნებს“ Oe).

ენათმეცნიერთა უმრავლესობის თვალსაზრისით (ა. შანიძე, გ. დეეტერსი, ვ. თოფურია, კ. დონდუა, თ. გამყრელიძე, ზ. სარჯველაძე, თ. მეტრეველი, ა. ონიანი...), ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციას ისტორიულად, ზემოსვანურის მსგავსად, ქვემოსვანურ დიალექტებშიც უნდა ჰქონოდა ადგილი, რაც გარკვეულ საფეხურამდე ყველა ქართველური ენისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ეს არის არქაიზმი, რომლის ნაშთებმა ძელ სალიტერატურო ქართულამდე მოაღწია.

განსხვავებული მოსაზრება აქვს არნ. ჩიქობავს. ის არ ეთანხმება იმათ, ვინც „სწორედ სვანურზე დაყრდნობით იძლეოდა ძე. ქართული ფორმის განმარტებას: გუ-||პ- პრეფიქსთა გამოყენება ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოვლენაა“. მისი აზრით, „სვანურში გუ-ს ამ ფუნქციით აღჭურვა უნდა დაწყებულიყო დიალექტთა თუ ენათა შერევის შედევად, როცა ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა გუ-||ნ- პრეფიქსი; მათი სიმბიოზის პროცესში გუ-||ნ- ფუნქციათა გამიჯვნა მივიღეთ, სადაც გუ- კილოს ხედრი წონა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ნ-სი (ნ- ფენის მატარებელნი კი ზემო სვანეთის თემებში არიან წარმოდგენილი); ქველ ქართულში გუ- პრეფიქსი არც მრავლობითის ნიშანი იყო (გან-გუ-ახლ-ნ-ა) და არც მისი ინკლუზიურობის მაჩვენებელი“. თავად ზემოსვანურში, კერძოდ, უშგულურ კილოკაში, გუ-||ნ- პრეფიქსთა ხმარებაში დადასტურებულ რყევას (ზატხ ჯეპშეს, ეგა გუატყერ — „რაც გსურდეს, ის დაგვმართე...“), ვ. თოფურია ლაშეურის გავლენას მიაწერს, არნ. ჩიქო-

ბავას კი ეს მაგალითები ძველი ქართულის გადმოგვთარებენ ჩუენ რიგისად მიაჩნია, რაც გუ- პრეფიქსის ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებას მოწმობს და არა აღრევას. სადაც გუ-||ნ- პრეფიქსიან ფორმათა გამიჯვნა არ ხერხდება, „იქ სწორედ ძველი ვითარებაა დაცული“.

დ. მელიქიშვილის აზრით, ზმაში ინკლუზივ-ექსკლუზივის ჩასხვის პერიოდი უნდა ემთხვეოდეს საერთოქართველური ფუქენის განვითარების იმ საფეხურს, როდესაც ხდება სვანურის გამოყოფა. დიფერენციაციის შემდეგ სვანურში ეს კატეგორია თანდათან გაძლიერდა, მეგრულში კვალიც არ ჩანს მისი არსებობისა, ქართულში კი შესუსტდა და თანდათან გაქრა.

როგორია ამ მხრივ თანამედროვე სურათი კოდორის (resp. დალის) ხეობაში მცხოვრებ სვანთა დღემდე თითქმის შეუსწავლელ მეტყველებაში? ხომ არ შესუსტდა ეს ფენომენი სვანეთიდან შედარებით იზოლირებულად მცხოვრებთა მეტყველებაში, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა მიმდინარეობს „რთული დალექტოლოგიური სურათის გამარტივება (მ. ქალდანი)“?

ჩვენს ხელთ არსებული მასალის კვლევის შედევად აღმოჩნდა:

1. ინკლუზივ-ექსკლუზივი კოდორის ხებაში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში საქმაოდ კარგად არის დაცული როგორც კუთვნილებით ნაცვალსახელებში, ისე ობიექტური წყობის ზმებში, თუმცა დღეისთვის შესწავლილი ტექსტების საფუძველზე მაინც შევნიშნავთ, რომ სისუსტე გარკვეულწილად მართლაც „შეპარვია“ აღნიშნულ კატეგორიას:

მიშგუ მუ გუინკრინადა სგიმატრთე — „მამაჩემს მივყავდით (მე და ისინი) მუავე წყლებზე“ (თამარ გვარმიანი, 23 წლისა);

ლტოლუსილატრ ტიშს, ნიშგუედ სოფელს, აშირ გუაყა — „ლტოლვილები ტიშში, ჩვენს სოფელში, ასი გვყავს“ (მაღონა კვანჭიანი, 34 წლისა);

ხოხურატლს ჩის ხოჩა ლარდა გუადდა — „ბავშვები ყველანი ვმხიარულობდით (პატარებს ყველას კარგი სამყოფი გვჭონდა)“ (დიანა დადვანი, 73 წლისა);

ეგი ლადედ ლუარსაბ ანგად ნიშგეშთე ი ნატ გუაქუე — იმ დღეს ლუარსაბი მოვიდა ჩვენთან და (ჩვენ) გვითხრა (ეკა კვანჭიანი,

32 წლისა);

ეჭვუმ მამ გუისალდა ეჩქა მარხუაზლ — „იმდენი არ ვიცო-
დით მაშინ მარხევები“ (როინა დევდარიანი, 29 წლისა);

ყველა საანალიზო ზმნაში, კონტექსტის სემანტიკიდან გამო-
მდინარე, მთქმელს ჩადებული აქვს ექსკლუზიური შინაარსი, მაგრამ
იყენებს ინკლუზიურ ფორმებს.

2. ამრიგად, ენგურის ხეობაში მცხოვრები სვანების მეტყველე-
ბისაგან განსხვავებით (გარდა უშეგულურისა), სადაც ინკლუზიური
და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მცარად გამიჯნულია როგორც
ზმნაში, ასევე ნაცვალსახელში, კოდორელ სვანთა მეტყველებაში საა-
ნალიზო კატეგორია შესუსტებული ჩანს; საილუსტრაციო მასალის
მიხედვით, ჯერ-ჯერობით ეს ეხება მხოლოდ ზმნას; ნაცვალსახელებში
მსგავსი რამ არ დაგვიდასტურებია.

3. ეს ეხება მხოლოდ სუბიექტური წყობის ინკლუზივს; ანომა-
ლიის შემთხვევაში სწორედ Oi (გუ-) იყავებს Si-ს (ნ-) ადგილს, პი-
რიქით კი — არასოდეს (მსგავსი ვითარებაა ძველ ქართულშიც). შე-
საძლოა, ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორი ქართულთან ანალო-
გია იყოს (გუ- Oi ქართულ და გუ- Oi სვანურ პრეფიქსთა მატერია-
ლური მსგავსება).

4. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით არც ერთხელ არ
დადასტურდა ლ- (Si) / ნუ- (Se) პრეფიქსთა ჩანაცვლების შემთხვე-
ვა; ვფიქრობთ, არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც სუბიექტური
წყობის ინკლუზივ-ექსკლუზიურ ფორმებს შესატყვისი ნაცვალსახელე-
ბი არ მოეპოვება (შდრ. ობიექტური წყობის **გუიშვუებ**, რომელიც
გუ- პრეფიქსს მიემართება, ხოლო **ნიშვუებ** — **ნ-** პრეფიქსს).
სუიშვუებ ან **ლიშვუებ** სვანურში არც დღეს არსებობს და ვერც ამ
ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე აღვადგენთ. საგულისხმოა,
რომ ძველ ქართულშიც მხოლოდ ობიექტური წყობის ზმნებში გვაქვს
შემონახული ეს კატეგორია.

5. ვინაიდან **ლაშეურ-ლენტეხურში ნ- (Oe)** არსად ჩანს, **გუ-**
კი ზემო სვანეთში არა მხოლოდ უშეგულურ კილოკავში გვევლინება
ნ-ს ადგილს, არამედ სხვაგანაც (სიმღერათა ტექსტებში, ლოცვებ-
ში), ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ ენის განვითარების ზოგად
ტენდენციას რთულიდან მარტივისკენ სწრაფვისა, ხომ არ არის საფიქ-

რებელი, რომ კოდორელ სვანთა მეტყველებაში კანტიკუნტად დადას-
ტურებული ანომალიები რაღაც პროცესის დასაბამზე მიგვანიშნებს!

ვ. თოფურიას მიერ იფარსა და ეცერში დადასტურებული რამ-
დენიმე შემთხვევა: ბზ. **შუიდებდუ ლოგუტედა!** — „მშვიდობითაც
მოგვიხველ“ (შე + ჩვენ Oe); ბქ. **სიოლ გუირი შუიდებდ** — „შენამც
გვყავხარ (მე და მას || მათ) მშვიდობით!“... დღესაც ცოცხალია და
ჩვენც არაერთხელ გვსმენია ჩუბეხეველ უფროსი თაობის წარმომად-
გენელთაგან.

მედეა საღლიანი

**ბალსკვეშო სვანეთიდან კოდორის (resp. დალის) ხეობაში
ჩასახლებულთა მეტყველების თავისებურებანი**

ჯერ კიდევ 1970 წელს პროფესორი მაქსიმე ქალდანი სტატიაში „დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში“ საგანგებოდ მსჯელობდა იმ რთული თავისებურებების შესახებ, რომლებიც კოდორის (resp. დალის) ხეობის სვანურენოვანი მოსახლეობის მეტყველებისთვის იყო დამახასიათებელი. როგორც ცნობილია, აღნიშნულ ხეობაში დღემდე მიმდინარეობს სამეტყველო კოდების შერევა, რაც გამოიხატება ბალსკვემოურ და ბალსკვემოურ დიალექტთა ურთიერთ-შერევის (ინტერფერენციის) პროცესში. ეს პროცესი კი განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ თაობის მეტყველებისათვის, რომელიც დაბადებული და აღზრდილია კოდორის ხეობაში. რაც შეეხება უფროს თაობას, მ. ქალდანის აზრით, მის მეტყველებაში ასეთი მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა, თუმცა, როგორც მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, მცირეოდენი თავისებურებანი უფროსი თაობის მეტყველებაშიც შეინიშნება.

კოდორული დიალექტები და ამ დიალექტებში შემავალი კილოკავები ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია, დელაბიალიზაცია, მეტათეზისი, ბგერის ჩართვა-დაკარგვა...), მორფოლოგიურ-სინტაქსურ თუ ლექსიკურ თავისებურებათა არსებობა-არარსებობით, რაც, ფაქტია, განაპირობა ზემოსვანური დიალექტების წარმომადგენელთა წლების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრებამ.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის მიზანია ბალსკვემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მეტყველების თავისებურებების შესწავლა ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე².

ტექსტებზე მუშაობის შედეგად ირკვევა, რომ კოდორულ ბალსკვემოურს ზემოსვანური დიალექტებისაგან მთელი რიგი თავისებურებები განასხვავებს. ეს თავისებურებები პირობითად დავყავით სამჯგუფად: **ბალსკვემოურთან საერთო თავისებურებანი; ენგურის ხეობის ბალსკვემოურისაგან განსხვავებული თავისებურებანი; ინტერცერენციის შედეგად ჩამოყალიბებული თავისებურებანი.**

1. კოდორელ ბალსკვემოელთა მეტყველებაში გრძელი ხმოვნები პირველად შეამჩნია პროფ. მ. ქალდანმა, ხოლო პროფ. ი. ჩანტლაძემ დასვა მათი ექსპერიმენტული ფონეტიკის აპარატურით შესწავლის საკითხი; რამდენიმე გრძელხმოვნიანი ფორმა (ეს-ეგ „ეს იგი“, იტობოლდა „დაიტბორებოდა ხოლმე“, ქაზდგრან „დამთავრდა“, სგან-ნებულდ „შემოვიყვანეთ“, გლეხობში „გლეხობისაც“, ხოჩამშუ „კარგით“, სგამჭატირე „შემაგდეს“, ჩის „ყველას“ და ა. შ.) დადასტურდა **საკენჭი, გვანდრაში, ტიშსა და აჭარაში** მცხოვრებ ბალსკვემოელთა მეტკვიდრების მეტყველებაში, რაც, რასაკვირველია, ბალსკვემოური დიალექტის გავლენის შედეგია.

2. კოდორის ხეობაში ჩასახლებული ბექოელი და ეცერელი მთქმელების მეტყველებაში შევნიშნეთ თ და უ ხმოვნების უმდაუტი (მინდურებს „მინდორს“, წარმოშეუბით „წარმოშობით“, ათხანდურებ „აწიც, ამის მერეც“; მარნუ „თავდაპირველად“, ეშტუ „ერთი“, მარნუ „თავიდან“, ქართულდ „ქართულად“ და სხვა) იქ, სადაც ენგურის ხეობაში მცხოვრები ბექოელი და ეცერელი წარმომადგენლებისთვის ის სრულიად ზედმეტია, თუმცა კანონზომიერია ბალსკვემოურისთვის. ეს ვითარებაც **ინტერცერენციის** მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

3. ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში, ერთსა და იმავე ტექსტში, ხშირად აქვს ადგილი პარალელური ფორმების ხმარებას. ამ ფორმათაგან ერთი ენგურის ხეობის ბალსკვემო სვანეთიდან გატანილი სიტყვა (ტობ „ტბა“), მეორე — ენგურის ხეობისავე ბალსკვემოურის კუთვნილებაა (ტობ), ხოლო მესამე ამ დიალექტების შერევის შედეგად მიღებული, ზემოსვანურისთვის უჩვეულო ფორმა (ტობ³).

² ბალსკვემოურ დიალექტზე მოლაპარაკეთა არეალი მოიცავს შემდეგ სოფლებს: **გუანდრა, ბაზგბა, საკენ, ნაპარუ, ბუჩქურ, ბგეგგრ, აძგარა, ტიშ, ჩხალთა, აჭარა, ზგმა, ქუაჩარა.** ბალსკვემოელები ცხოვრიბდნენ აგრეთვე სოფელ ლათა-შიც მეგრელების, აფხაზების, სომხებისა და რუსების გარემოცაში.

³ სოფელ საკენის მკვიდრი, წარმოშობით ეცერელი, ბაზი გურჩიანი სამივე ფორმას იყენებს.

4. დადგინდა ისიც, რომ ბგერათა გაუჩინარებას სისტემატური ხასიათი აქვს კოდორელ ბალსქვემოელთა მეტყველებაში როგორც ან-ლაუტში (ოდა < ჰილა „ჰილა”, ახ < ლახ „თუ”, უეშგმე < ღუეშგმე „უკანა”...), ასევე ინლაუტსა (ტაქტორ < ტრაქტორ „ტრაქტორი”, დე < დემე||დემეგ „არ||არა”...) და აუსლაუტშიც (ეჩქა < ეჩქას „მაშინ”, მა-მაგუე < მამაგუეშ „არაფერი”, ეჯუაზ < ეჯუაზი „იმისთანა, ისე-თი”...).

5. კოდორელ ბალსქვემოელთა მეტყველებაში შეინიშნება ასი-მილაციის პროცესიც. მაგ. წარმოშობით ეცერელი ნინა გუჯეჭიანი, რომელიც ამჟამად სოფელ გვანდრაში ცხოვრობს თითქმის ბალსქვე-მოელთა გარემოცვაში, როგორც ჩანს, ბალსზემოურის გავლენას მა-ინც განიცდის, რაც მის მეტყველებაში ნათლად აისახება. ამ გავლე-ნის შედეგია ალბათ ბალსქვემოურისთვის მიუღებელი ფორმები ნინ-ძლეულ და ლინძლეულ „სანაძლეო, ნაძლევი” (შდრ. მისივე ქათაზნირ-ზალ „დანიძლაცე”, ნირზლა „ნიძლავის გამო”).

გარდა ამისა, თვალშისაცემია ე+უ პოზიციაში ე’ს უუმლაუტ-ობა, მაშინ, როდესაც ზემოსგანურ დიალექტებში, ამ პოზიციაში, უმ-ლაუტი თითქმის ყოველთვის ხორციელდება, შდრ. ბქ. ნირზლაზუ, ბზ. ლინძლაზუ, ნიძლაზუ „სანაძლეო, ნაძლევი”, ბქ. წაზურ, ბზ. წაზურ „წერო”, ბს. უბაზუ „უბედო”, ბზ. დეგაზუილ „დეკეული” და ა. შ.

6. საკენსა და გვანდრაში ჩასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში დაფიქსირდა ნომინატივის გაქვავებული ბრუნვის ნი-შანი -ო არაერთ სახელში (ზაზუ „წელი”, ჭალაზუ „მდინარე”, სტუაზუ „მოტვლეპილთავიანი”...). ეს მოვლენაც, რაღა თქმა უნდა, ბალსზემოურ დიალექტთან ინტერცერენციის მოვლენად მი-ვიჩინეთ, რადგანაც ანალოგიურ შემთხვევებში ენგურის ხეობის ბალ-სქვემოურში -ო არსად გვაქვს.

7. როგორც მასალის ანალიზმა ცხადყო, ცვლილებები არცთუ ისე მცირეა, თუმცა საბოლოო დასკვნებისაგან ამჯერად თავს შევიკა-ვებთ, რადგანაც განსახილველი და შესასწავლი კოდორის ხეობის ბალსქვემოურ მეტყველებაში ჭერ კიდევ ბევრია.

როგორ ჭკადუა

დელაბიალიზაცია კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში და მისი მიმართება ლახამულური კილკავის შესაბამის მონაცემებთან

სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, მ. ქალდანი, ი. ჩანტლაძე) აღნიშნულია, რომ სვანურ ენას ახასიათებს როგორც ლაბიალიზაციისკენ მიღრეკილება, ასევე დე-ლაბიალიზაცია. ლაბიალიზაცია მთელი სვანურისათვის არის დამახა-სიათხელი, ხოლო დელაბიალიზაციის პროცესი სვანური ენის დიალექ-ტებში სხვადასხვაგვარადა წარმოდგენილი: ნაკლებად შეიმჩნევა ბალ-სზემოურ დიალექტში; მეტნაკლებად ბუნებრივია ბალსქვემოურისათვის (ეცერული, ცხუმარული, განსაკუთრებით ლახამულური) და ლენტეხუ-რისათვის. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა სურათი გვაქვს კოდო-რის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში, რომელიც სვანური ენის ორი დიალექტის — ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის — ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენების ინტერცერენციის ნიმუშს წარმოადგენს.

საქართველოს სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის მონა-წილეების მიერ ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, რომ ბალსზემოურ დია-ლექტზე მოსახურეთა მეტყველებაში ჭარბობს ლაბიალიზებული კომ-ბლექსების შემცველი ლექსემები. უე და უი დიფთონგები, ძირითადად, მიღებულია თ და უ ხმოვანთა უმლაუტის შედეგად (თუმცა გვაქვს ფუძისეული უე და უი მაგ.: კუე „კვერნა“, სუეტ „სვეტი“, ჭუერ „ჭვავი“...).

წინა წარმოების ლაბიალიზებული ნაუმლაუტარი ხმოვნების დელაბიალიზაცია (ე, ი ხმოვნებში გადასვლა) სვანური ენის ფონე-ტიკური სისტემის განვითარების ახალ ხანად არის მიჩნეული. რაკი აღნიშნული კომპლექსების გამარტივება ბალსქვემოურ დიალექტს უფრო ახასიათებს, ვიდრე ბალსზემოურს, ეს იმას ნიშნავს, რომ უმ-ლაუტმა ბალსქვემოურში მეტხანს შეინარჩუნა მოქმედების უნარი.

კოდორულ მეტყველებაში, ჩვენი აზრით, ნაკლებად უნდა ჰქონ-დეს გასაქანი დელაბიალიზაციის მოვლენას, რადგანაც აქ არ გვაქვს ლახამულურის და ლენტეხურის გავლენა.

ბალსზემოურ კურტოლიდ < კორტოლიდ („ცოტა“), ჭუებ < ჭოგ-ი, ლახუებ < ლა-ხომ-ე („მისცა“), დიკუენ < დიაკვან-ი, ლიწუენე < ლი-წლენ-ე („ჩვენება“) ფორმათა გვერდით კოდორის ხეობაში შედარებით იშვიათია: ლახებ, თეთნე („თეთრი“), სგებინ („წინ“), ლეშგიმ („უკან“), თუთინ („თუთუნი“) და ა. შ. ლექსემები.

ბალქვეორ სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მე-მკვიდრეების მეტყველება თანაბრად წარმოგვიდგენს ორივე ვარიანტს:
თუთევ || თევ („უცხო“), **თუთუნი || თუთინ: დრუე || დრეუ** („დრო“) და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კოდორის ხეობაში გვხვდება ისე-თი ფორმებიც, საღაც მოსალოდნელი უმლაუტიანი ხმოვნების ადგი-ლას გვაქვს უუმლაუტო უ ან თ: ტელეტუიზორქა აწონას დევნილარს — „ტელევიზორში აჩვენებდნენ დევნილებს“ (უანა ცალანი, სოფ. ტი-ში — ბექო); ბალსზემოურ დიალექტსა და ბალქვემოურის ზოგ კი-ლოკაციი ჩვეულებრივ გვაქვს **ა-წუენ-ახ**, ხოლო ლახამულურში — **ა-წენ-ა-ხ**. ასევე **მოწირ** („მჯობი“), ნაცვლად **მგნწირ** ფორმის, ჭოდი („გრძელი“) ნაცვლად **ჭუედი || ჭედი** ფორმებისა. ეს მოვლენა შენიშ-ნულია ბექოურსა და ცხუმარულ მეტყველებაში (ვ. თოფურია, თ. შა-რაძენიძე, მ. ქალდანი).

წარმოშობით ლატალელი რევაზ კვანჭიანის (სოფ. ლაფა) მეტყველებისათვის ბუნებრივია **უ-ს** დაკარგვა ზმნათა ანლაუტში ელიზიურ ფორმებთან: **ჩატმკედელი (< ჩუ-ა-მე-პედ-ე-ლი)** უიბე **შუატნენ** — „ჩამოსულა ზემო სვანეთიდან“; **მიშგუ მუ ჩატმტეს (< ჩუ ა-მე-ტეს)** — „მამაჩემი (,ჩემი მამა“) ჩამობრუნებულა“. **ეჭატრდალ ჩატდგაცდას (< ჩუ ა-ტდ-ი-ცაც-დ-ა-ხ)** — „ისინი დაიღუპნენ“ და სხვ.

განხილული მასალა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კოდორის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში, ბალსზემოურად მოსა-უბრეთაგან ჩაწერილ ტექსტებში ჭარბობს **უე** და **უი** კომპლექსიანი ლექსებმები, ხოლო ბალსქვემოურში დასტურდება თითქმის პარალე-ლური ხმარება ლაბიალიზებული თუ დელაბიალიზებული ფორმები-სა, მაგრამ ლახამულური კილოკაცის მაგვარი გარდაჭმნები (უე → ე, უი → ი) აქ არ გვაქვს, რაც იმით აიხსნება, რომ ამ რეგიონიდან კო-დორის ხეობაში ადგილი არ ჰქონია ჩასახლებას.